

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი



მაგისტრანტი: სანდრო გაგაძე

სამაგისტრო ნაშრომი:
დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი: ალექსანდრე გიორგიძე

თბილისი 2018

ანოტაცია

დანაშაული არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. ანუ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. თუ პირმა დანაშაულზე ნებაყოფლობით აიღო ხელი, მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება. დანაშაულზე ხელის აღება შეიძლება როგორც დანაშაულის მომზადების სტადიაზე, ისე დაუმთავრებელი მცდელობისას. აღსანიშნავია, რომ პირს შეუძლია დამთავრებული მცდელობის დროსაც აიღოს ხელი დანაშაულზე. ნებაყოფლობით ხელის აღებისას, თუ პირის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს (მაგალითად არ მოკლა ადამიანი, მაგრამ სხეული დაუზიანა), იგი დაისჯება ფაქტობრივად ჩადენილისათვის. დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით ხელის აღება გვექნება როცა შედეგის დადგომა თავიდან იქნება აცილებული. ნებაყოფლობითი ხელის აღების შესახებ ნორმა არის წამახალისებელი. პირი დანაშაულისაგან იმიტომ კი არ თავისუფლდება, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია, არამედ იმიტომ, რომ მან თავიდან აიცილოს სამართლებრივი სიკეთის დაზიანება. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არ წარმოადგენს ბრალის გამომრიცხველ საპატიებელ გარემოებას, არამედ არის პასუხისმგებლობიდან პერსონალური გათავისუფლების საფუძველი. ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ დიდი ხანია მიმდინარეობს მწვავე დისკუსია. სისხლის სამართლის დოგმატიკაში აღიარებულია, რომ ამ თემის ირგვლივ აღმოცენებული საკითხების უკეთ გასაგებად, როდესაც სემანტიკური, ისტორიული და სისტემური განმარტებების გაკმოყენება საკმარისი არ არის, მაშინ აუცილებელია ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ არსობრივი მსჯელობა. შესაბამისად წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხს ფართო გაგებით.

Annotation

Voluntary confession of guilt

Sandro Gagadze

Crime is the basis of liability under criminal law. Under the criminal law, the wrongful act of the perpetrator is provided. If a person voluntarily pleads guilty for a crime, he will not be liable. Recognition of guilt for a crime can be, as in the preparation of a crime, and during an unfinished attempt. It should be noted that a person can admit guilt and during the completed attempt of a crime. During voluntary recognition, if the act committed by the person actually contains other signs of a crime (for example, did not kill a person, but damaged his body), he will be punished in fact for attempting. We will have a voluntary confession of guilt for the eventual bringing of the crime into action when the formation is necessarily original. The norm of voluntary recognition of guilt for a crime is encouraging. A person is absolved from responsibility not because he has not committed a crime, but because he has avoided damage to the legal good. Voluntary confession of guilt for a crime does not represent an exculpatory environment excluding blame but is the basis for personal exemption from liability. On the voluntary recognition of guilt, there has been a heated discussion for a long time. In the dogmatic theory of criminal law, it is recognized that around this topic, in order to better understand the issues that arise, when the use of semantic, historical and systematic definitions is not enough, in this case it is necessary to reason about the essence of the voluntary recognition of guilt for a crime. Accordingly, in this work we will consider the issue of the voluntary recognition of guilt for a crime in a broad sense.

სარჩევი

შესავალი----- 7-8

თავი I

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების არსი და პირობები-----9-25

1.1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების არსი-----9-14

1.2 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების

პირობები და საზღვრები-----14-19

1.3 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის

საკითხი-----19-20

1.4 დაუსჯელობის საფუძვლები-----20-23

1.4.1 ნებაყოფლობითობა-----23-25

თავი II

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ობიექტური და

სუბიექტური შემადგენლობა-----26-38

2.1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

მოქმედებით და უმოქმედობის დროს-----26-27

2.2 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიური

ბუნება-----27-37

2.3 განზრახვა როგორც დანაშაულზე ხელის აღების სუბიექტური

ელემენტი-----37-38

თავი III

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის

მომზადებისა და მცდელობის ეტაპზე-----39-47

3.1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის

მომზადების ეტაპზე-----	39-40
3.2 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დაუმთავრებელი მცდელობის ეტაპზე-----	40-42
3.3 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დამთავრებული მცდელობის ეტაპზე-----	42-44
3.4 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი უვარგისი მცდელობისა და ხელშეშლილი მცდელობის დროს-----	44-46
3.5 წარუმატებელი ხელის აღება-----	46-47

თავი IV

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება თანამონაწილეობის და ამსრულებლის დროს-----	48-58
4.1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება რამდენიმე თანამონაწილის მიერ-----	48-50
4.2 ერთპიროვნული ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მომზადების სტადიაზე-----	50-51
4.3 ერთპიროვნული ამსრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მცდელობის სტადიაზე-----	52-54
4.4 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება თანამსრულებლის მიერ-----	54-56
4.5 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შუალობითი ამსრულებლის მიერ-----	57-58

თავი V

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ცალკეული საკითხები-----	59-63
5.1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება კვალიფიციურ შემადგენლობაში-----	59-60

5.2 დანაშაულზე ნებაცოდლობით ხელის აღების შესაძლებლობის	
საკითხი ერთიან დანაშაულებში-----	60-61
5.3 დანაშაულზე ნებაცოდლობით ხელის აღება	
დანაშაულის პროვოკაციის დროს-----	62-63
სასამართლო პრაქტიკა-----	63-65
დასკვნა-----	65-66

შესავალი

დანაშაულებასთან ბრძოლის სფეროში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკა იძულებითი მეთოდების გარდა, რაც სასჯელისა და სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიების დანიშვნის ან მისი დანიშვნის მუქარაში გამოიხატება, იყენებს დარწმუნების მეთოდსაც, რომელიც დამნაშავესათვის სასიკეთო შედეგს იწვევს, ის თუ კანონით დათქმულ პირობაში შეასრულებს. დარწმუნების მეთოდი ე.წ „წამახალისებელ“ ნორმებშია გამოხატული. „წამახალისებელი“ ნორმები სისხლის სამართალში ორი სახისაა ერთი, რომელიც დანაშაულის დამთავრებამდე გამოიყენება. კერძოდ, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი და მეორე, რომელიც დანაშაულის დამთავრების შემდეგ გამოიყენება ე.წ „პოსტკრიმინალური წამახალისებელი“ ნორმა.

კვლევის მიზანია: დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულებების ანალიზი, როგორც მათი კრიტიკა, ისე დადებითი მხარეების წარმოჩენა. კვლევის მიზანს, აგრეთვე, წარმოადგენს მთლიანად დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის და ასევე, მისი სახელწოდების სხვა მხრიდან დანახვება მკითხველისათვის, თეორეტიკოს და პრაქტიკოს იურისტთა მოსაზრებების თავმოყრა, მათი შეპირისპირება და სწორი დასკვნების გამოტანა.

კვლევის საგანია: აღნიშნული ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების კვალიფიკაციის პრობლემური საკითხების განხილვა სასამართლო პრაქტიკის მოშველიებით. ასევე მიზანია დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მომწესრიგებელი ნორმების განმარტება როგორც ლიტერატურაში გაკეთებული დასკვნების მოშველიებით

კვლევის მეთოდები:

ნაშრომში გარკვეული საკითხების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით გამოყენებული იქნება შედარებით-სამართლებრივი, ლოგიკური და სისტემური კვლევის მეთოდები. რაც საბოლოო ჯამში, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სამართლებრივ ასპექტებთან დაკავშირებით მკითხველს შეუქმნის სრულ სურათს

თავი I

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების არსი და პირობები

1.1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების არსი

საბჭოთა კანონმდებლობა ათავისუფლებს სისხლისსამართლის პასუხისმგებლობისაგან იმ პირს, ვინც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის ჩადენაზე. აღნიშნული ნორმა, საბჭოთა სისხლის სამართალში, თავიდანვე ჩამოყალიბებული არ ყოფილა. იგი ცნობილი არ იყო რსფსრ 1919 წლის სახელმძღვანელო საწყისებისათვის. პირველად იგი 1922 წლის კოდექსში იქნა შეტანილი. ამ კოდექსის მე-14 მუხლში აღნიშნული იყო, რომ მცდელობა, რომელიც მცდელის მიერ ნებაყოფლობით ბოლომდე არ იქნა მიყვანილი, ისჯება როგორც ის დანაშაული, რომელიც მის მიერ ფაქტობრივად იყო ჩადენილი. 1924 წლის „ძირითად საწყისებში“ არ იყო ნორმა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ. მიუხედავად ამისა, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, სისხლის სამართლის კოდექსმა გაითვალისწინა აღნიშნული ნორმა, ერთმანეთისაგან ცოტაოდენ განსხვავებული რედაქციით. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-19 მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამი იყო „ უკეთუ დაწყებული დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი იმის გამო, რომ ამ დანაშაულის ჩამდენმა ხელი აიღო მის დამთავრებაზე, სასამართლო სოციალური დაცვის ღონისძიებას გადაუწყვეტს მხოლოდ იმ მოქმედებისათვის, რაც ფაქტობრივად უკვე შესრულებულია“.¹ ითვალისწინებენ ამ ნორმას აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ახალი საფუძვლები. „ის პირი, - ნათქვამია საფუძვლების მე-16 მუხლში, - ვინც ნებაყოფლობით ხელს აიღებს დანაშაულის

¹ წერეთელი. თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბილისი 1961. გვ. 216

ბოლომდე მიყვანაზე, სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული ქმედობა შეიცავს სხვა დანაშაულის ნიშნებს.²

ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ დიდი ხანია მიმდინარეობს მწვავე დისკუსია. სისხლის სამართლის დოგმატიკაში აღიარებულია, რომ ამ თემის ირგვლივ აღმოცენებული საკითხების უკეთ გასაგებად, როდესაც სემანტიკური, ისტორიული და სისტემური განმარტებების გაკმოყენება საკმარისი არ არის, მაშინ აუცილებელია ნებაყოფლობით ხელის აღების შესახებ არსობრივი მსჯელობა.

ნებაყოფლობით ხელის აღების არსის განსახდვრის დროს სისხლის სამართლის მეცნიერები ტრადიციულად სამ შეხედულებაზე ამხვილებენ ყურადღებას. ესენია: „ოქროს ხიდის“, იგივე „კრიმინალ-პოლიტიკური“ თეორია, „შეწყალების“ იგივე „წახალისების თეორია“ და „სასჯელის მიზნის თეორია“ სპეციალური გენერალური პრევენციის გათვალისწინებით.

„ოქროს ხიდის“ თეორია მომდინარეობს ფოიერბახიდან. მან განავითარა პოზიცია, რომლის მიხედვითაც, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის პრივილეგიის მინიჭების გარეშე, საფრთხე არ გაივლის. ამ თეორიის მიხედვით, სახელწიფომ დამნაშავეს ხელის აღების შემთხვევაში სასჯელის გამოუყენებლობით გარკვეული სტიმული უნდა მისცეს, რათა მან შედეგი თავიდან აიცილოს.³ სასჯელის მიზნის თეორიის მიხედვით, ნებაყოფლობით ხელის აღება სასჯელის მიზანს უნდა ემთხვეოდეს. ეს თეორია გამოდის იქედან, რომ დანაშაულის ნებაყოფლობით შეწყვეტისას დამნაშავე ლეგალურ პოზიციაზე ბრუნდება და მისი დანაშაულებრივი ნება ისეთი ძლიერი აღარ არის, როგორც ეს დანაშაულის განხორციელებისას იქნებოდა. ამიტომ, დასჯადობა თავის მნიშვნელობას კარგავს როგორც დამნაშავეს მხრიდან მომავალში დანაშაულის კვლავ ჩადენის თავიდან აცილების

² იხ. თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბილისი 1961, გვ. 216.

³ იხ. დ. სულაქველიძე, „ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე“ დისერტაცია. თბილისი 1992. გვ. 45-46.

თვალსაზრისით, ასევე სხვების დაშინებისა და დარღვეული მართლწესრიგის აღდგენის თვალსაზრისითაც. შეწყალების, იგივე წახალისების თეორიის მიხედვით, დამნაშავე, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო უნდა წახალისდეს, რადგან იგი დანაშაულზე ხელის აღებით კვლავ ექცევა კანონიერების ფარგლებში. აღნიშნული თეორია დაზარალებულის დაცვის ხაზს კი არ მიყვება, არამედ თავად დამნაშავის პიროვნება დგას შეწფასების ცენტრში.

აღნიშნული თეორია დღეისათვის გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში აღარ გამოიყენება, რადგან იგი ეფუძნება მცდელობის წმინდა „სუბიექტურ თეორიას“, რომელიც გერმანიის სსკ-ის 22-ე პარაგრაფით გათვალისწინებული მცდელობის ცნებასთან არ მოდის თანხვედრაში. დანაშაულებასთან ბრძოლის სფეროში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკა იძულებითი მეთოდების გარდა, რაც სასჯელისა და სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიების დანიშვნის ან მისი დანიშვნის მუქარაში გამოიხატება, იყენებს დარწმუნების მეთოდსაც, რომელიც დამნაშავისათვის სასიკეთო შედეგს იწვევს, ის თუ კანონით დათქმულ პირობაში შეასრულებს. დარწმუნების მეთოდი ე.წ. „წამახალისებელ“ ნორმებშია გამოხატული. „წამახალისებელი“ ნორმები სისხლის სამართალში ორი სახისაა: ერთი, რომელიც დანაშაულის დამთავრებამდე გამოიყენება. კერძოდ, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი და მეორე, რომელიც დანაშაულის დამთავრების შემდეგ გამოიყენება ე.წ. „პოსტკრიმინალური წამახალისებელი“ ნორმა.⁴

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი „პოსტკრიმინალური წამახალისებელი“ ნორმებისაგან განსხვავებით სისხლის სამართლის ზოგად ნაწილშია მოცემული. მაშასადამე, ეს უკანასკნელი გამოიყენება ცალკეული დანაშაულების მიმართ, რაზეც სისხლის სამართლის კანონში სპეციალურადაა მითითებული, ხოლო დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გამოიყენება

⁴ იხ. დვალიძე ი. ჟურნალი „ალმანახი“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა გამომცემლობა. N19. თბილისი 2004 გვ. 20.

ნებისმიერი დანაშაულის მიმართ, სადაც ეს იურიდიულად შესაძლებელია. სსკ-ის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებამდე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი“. ამ ნორმის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას, ისევე როგორც დაუმთავრებელი დანაშაულისას, არ გვაქვს დანაშაულებრივი შედეგი. თუმცა, მათ შორის განსხვავება ისაა, რომ დანაშაულის განმახორციელებელი თავადვე სპობს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, რითაც მთლიანად ქრება განხორციელებული ქმედების სოციალური საშიშროება.⁵

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, როგორც ვხედავთ, გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მაგრამ ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ეს ინსტიტუტი მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოებაა? ამ კითხვაზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. პირველ შემთხვევაში, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი თავიდანვე სასარგებლოა მართლწესრიგისათვის. მეორე შემთხვევაში, ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება მართლსაწინააღმდეგო ქმედების დაწყებიდან ითვლება არაბრალეულად. რაც შეეხება, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას, იგი თავიდანვე დანაშაულებრივ ხასიათს ატარებს და მხოლოდ შემდეგ ქარწყლდება მისი მართლწინააღმდეგობა და ბრალეულობა.

სახელმწიფო, ანსელმ ფოიერბახის თქმით, ამ ინსტიტუტის დაწესებით დამნაშავეს უგებს „ოქროს ხიდს“, რომელიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ერთ-ერთი შანსია. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, უმეტესწილად და არა ყოველთვის, მეტყველებს პირის საზოგადოებრივი საშიშროების წაშლაზე. მაგალითად, თუ პირი დანაშაულზე ხელს

⁵ დვალიძე ი. ჟურ „ალმანახი“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა გამომცემლობა. N19.თბილისი 2004წ. გვ. 22

აიღებს იმ მოსაზრებით, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მას მთელი სიცოცხლე შეაწუხებს ჩადენილი ცოდვა ღვთის წინაშე, მაშინ იგი აღარ არის საზოგადოებისათვის საშიში, ხოლო თუ დანაშაულზე ხელის აღების მოტივი იქნება სასჯელის შიში, მაშინ იგი კვლავ რჩება საზოგადოებისათვის საშიშ პირად.

დანაშაულის დამთავრებამდე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის აუცილებელია ორი პირობის არსებობა: ნებაყოფლობითობა და საბოლოობა.

ადამიანის ნებაყოფლობით მოქმედებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მის მიერ დასახული მიზნის მიღწევა მიმდინარეობს მისი სურვილის შესაბამისად. თუ მოქმედების გადაწყვეტილებას პირი გარეგანი ფაქტორების იძულების შედეგად იღებს, მაშინ თავისუფალი ქცევა გამორიცხებულია.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივი შეიძლება სხვადასხვა ხასიათის იყოს. მაგალითად, დაზარალებულის სიბრალული, კანონის შიში, ღვთის შიში, დაზარალებულისადმი სიმპათიით განწყობა და ა.შ. ნებაყოფლობით ხელის აღების გადაწყვეტილება არაა აუცილებელი, რომ თვით დამნაშავეს წარმოეშვას. შესაძლებელია ასეთი ინიციატივა დამნაშავეს გაუღვიძოს მისმა თანამონაწილემ, დანაშაულის შემსწრემ, დაზარალებულმა და ა.შ. აქ მთავარია ერთი მომენტი: მიზნის მიღწევაზე უარის თქმის მოტივის ჩამოყალიბებისას პირს შეცნობილი უნდა ჰქონდეს, რომ მას აქვს ობიექტური შესაძლებლობა ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული. მაშასადამე, თუ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივი იძულებითია, მაშინ „ნებაყოფლობითობაზე“ საუბარი გამორიცხებულია. მაგალითად, თუ პატიმარი მომზადებულია გაქცევისათვის, მაგრამ შეიტყობს, რომ საპატიმრო დაწესებულებაში დაცვის გაძლიერებული რაზმი დააყენეს და ამის გამო გაქცევაზე უარს იტყვის, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არ გვექნება. წინააღმდეგობა შეიძლება თვით დაზარალებულიდან მომდინარეობდეს. მაგალითად, თუ ა.-მ. ბ. ვერ

გაუპატიურა, რადგან ბ-ს ფიზიკური ძალადობა ვერ გადალახა, ადგილი აქვს გაუპატიურების მცდელობას.⁶

1.2 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

პირობები და საზღვრები

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ დაუმთავრებელი დანაშაულის დროს, როგორც დანაშაულის მომზადების, ასევე დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, როგორც სისხლისსამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება, შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს: 1. დანაშაულის შედეგი თავიდან უნდა იყოს აცილებული. 2. პირი დანაშაულზე ხელის აღების დროს ნებაყოფლობით მოქმედებდეს. 3. დანაშაულზე ხელის აღება საბოლოო უნდა იყოს.

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, ისევე როგორც, თავად დანაშაულებრივი ქმედება, ობიექტური და სუბიექტური მხრისაგან შედგება. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ობიექტური მხარე, საკუთარი მოქმედებით, დანაშაულის შედეგის თავიდან აცილებაში გამოიხატება. თუ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მსურველის, დიდი მეცადინეობის მიუხედავად, დანაშაულებრივი შედეგი მაინც დადგა, პირი პასუხს დამთავრებული დანაშაულისთვის აგებს. შემთხვევა: პეტრე მკვლელობის განზრახვით ესვრის პავლეს და დაჭრის მას შემდეგ შეეცოდება და საავადმყოფოში საკუთარი მანქანით გააქანებს მსხვერპლი მანქანაში სისხლისგან დაიცლება. შესაბამისად, პეტრე პასუხს დამთავრებული დანაშაულისთვის აგებს.⁷

⁶ იხ. დვალიძე ჟურნალი “ალმანახი“ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა გამომცემლობა. N19. თბილისი 2004 გვ. 23-24.

⁷ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. 2011. გვ 95.

გამონაკლის შემთხვევებში, შედეგის დადგომის მუხედავად, პირის ქმედება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად დაკვალიფიცირდება, თუ მას დანაშაულებრივი მიზეზობრიობის ატიპური განვითარების გამო, შედეგი ობიექტურად ან სუბიექტურად არ შეერაცხება. თუ მიზეზობრიობის ტიპური განვითარებისას, სუბიექტმა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგის თავიდან აცილება ვერ შეძლო, მას სისხლის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება დამთავრებული დანაშაულისათვის, მაშინაც კი, როდესაც ეს შედეგი შემთხვევითობის, მესამე პირთა ჩარევის ან დაუძლეველი ძალის გამო დადგა. თუ პირმა დანაშაულებრივი შედეგის თავიდან ასაცილებლად ყველაფერი ვერ გააკეთა, რადგან მას ხელი შემთხვევითობამ შეუშალა, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დიდი სურვილის მიუხედავად იგი პასუხს აგებს დამთავრებული დანაშაულისათვის. შემთხვევა: პეტრემ მკვლელობის განზრახვით ესროლა პავლეს ტუმცა შემდეგ შეეცოდა და თავის მანქანით შეეცადა სდაავადმყოფომ გადაყვანას მაგრან გზაში მაქნანა გაუფუჭდა და პავლე გარდაიცვალა. ეს შემთხვევა ავარიის შემთხვევისაგან იმით განსხვავდება, რომ აქ მიზეზობრიობის ის ჯაჭვი, რომელიც პირმა დააფუძნა მოქმედებას აგრძელებს.⁸

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების მხოლოდ სურვილი, არ შეილება სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძველი იყოს. თუ პირი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საშუალებაში შეეცდება და იფიქრებს, რომ მის მიერ განხორციელებული ქმედება, ანდა უმოქმედობა დანაშაულებრივი შედეგის თავიდან ასაცილებლად სრულიად საკმარისია, შედეგი კი მაინც დადგება. მას ეს შედეგი ობიექტურად შეერაცხება. სსკ-ის 21-ე მუხლის მიხედვით დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სუბიექტური მხარე ნებაყოფლობითობას, ანუ ქმედების განცორციელების შესაძლებლობას, ცოდნასა და მისი სურვილის არქონას მოიცავს. ნებაყოფლობითობის კრიტერიუმს კანონმდებელი არ იძლევა. სისხლის

⁸ მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011. გვ. 96-97

სამართლის თეორიაში, ნებაყოფლობითობას ფსიქოლოგიურად ან ნორმატიულად განმარტავენ. ფსიქოლოგიური გაგებით ნებაყოფლობითობა გვაქვს მაშინ, როდესაც სუბიექტი ფიქრობს, რომ მას დანაშაულებრივი შედეგის განხორციელება შეუძლია, მაგრამ ამის მიუხედავად დანაშაულებრივ საქმიანობას არ აგრძელებს. ნებაყოფლობითობის დასადგენად, სისხლის სამართლის დოგმატიკაში, ტრადიციულად, ფრანკისეულ ფორმულას იყენებენ. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება გვაქვს მაშინ როდესაც პირი ფიქრობს „ არ მინდა, რომც შემეძლოს“ დანაშაულზე ხელის აღების ნებაყოფლობითობა გამოირიცხება მაშინ როდესაც პირი ფიქრობს „არ შემეძლია, რომც მინდოდეს“.⁹

ნებაყოფლობითობის ცნების ავტონომიური და ჰეტერონომიული კრიტერიუმით განსაზღვრასაც ნებაყოფლობითობის ფსიქოლოგიური გაგება უდევს საფუძვლად. დანაშაულზე ხელის აღება ნებაყოფლობითია მაშინ, როდესაც ხელის აღება პირის ავტონომიურ გადაწყვეტილებას ემყარება და არა რაიმე ობიექტურ შემაფერხებელ გარემოებას. დანაშაულზე ხელის აღება ნებაყოფლობითი არაა როდესაც დანაშაულის ჩადენას ჰეტერონომიული პირის ნებისგან დამოუკიდებელი პირობები აფერხებენ. სამართლის დოგმატიკაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ დანაშაულის გახსნის აბსტრაქტულ და კონკრეტულ შიშს. აბსტრაქტული შიში ზოგადად სასჯელის, ოდესმე დანაშაულის მხილების შიშია და არა დანაშაულზე დაუყოვნებლივ წასწრებისა. ქმედების დასჯის აბსტრაქტული შიში დანაშაულზე ხელის აღების ნებაყოფლობითობას არ გამოირიცხავს კონკრეტული შიში კი დამნაშავის მხილების უშუალო საფრთხესთანაა დაკავშირებული და თუ პირი დანაშაულზე ხელს სასჯელის კონკრეტული შიშის გამო იღებს დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღება ნებაყოფლობითი არაა.¹⁰

⁹ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011. გვ. 96-97

¹⁰ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. 2011. გვ. 98

ნებაყოფლობითობის მომენტზე გადამწყვეტ მნიშვნელობას ახდენს, პირის შეხედულება ქმედების განხორციელების ფაქტიურ შესაძლებლობაზე. დანაშაულზე ხელის აღება ნებაყოფლობითია მაშინაც კი როდესაც, სინამდვილეში პირს დანაშაულებრივი შედეგის მიღწევის შესაძლებლობა არ აქვს, მაგრამ იგი დარწმუნებულია რომ, მის მიერ გამიზნული შედეგის მიღწევას არაფერი უდგას წინ. შემთხვევა: პეტრე ხელს აიღებს ქალის გაუპატიურებაზე თუმცა, ჰგონია რომ, ახლომახლო არავინაა და მომენტი ხელსაყრელია. სინამდვილეში იქვე ახლოს ქალის მეგობრები არიან და პეტრეს მიერ ამ ქმედების განხორციელების ხელის შეშლა შეუძლიათ. თანაც ქალს კარატეში შავი ქამარი აქვს და საჭიროების შემთხვევაში იგი პეტრეს მარტოც მოიგერიებს, რაც პეტრემ არ იცის. იგი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელს აიღებს.

პირის არასწორი წარმოდგენა იმის შესახებ რომ მის ქმედებას ფაქტიური გარემოებები აბრკოლებენ, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას გამორიცხავს. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას ყურადღება უნდა მიექცეს ნებაყოფლობით ხელის აღების მოტივის, ზნეობრივ ხასიათს. პირის მიმართ დანაშაულზე ხელის აღების ინსტიტუტი ვრცელდება, მაშინ როდესაც მას მოყვასის სიყვარული ააღებინებს ხელს, დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, ასევე მაშინაც, როდესაც იგი მომავალი სასჯელის შიშის გამო დაიხვეს უკან.

როდესაც შეუძლებელია დანაშაულზე ხელის აღების მოტივის დადგენა და სავარაუდოა რომ, სუბიექტი ნებაყოფლობით მოქმედებდა, სასამართლოს ყველა ეჭვი დამნაშავის სასარგებლოდ უნდა გადაწყვიტოს.¹¹

ნებაყოფლობითობის ცნების ნორმატიული გაგებით დანაშაულზე ხელის აღება მაშინაა ნებაყოფლობითი, როდესაც დანაშაულზე ხელის აღებით, პირის საშიშროების არარსებობა დასტურდება ისე, რომ მის მიმართ სასჯელის გამოყენება

¹¹ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. 2011. გვ. 99-100

არაა საჭირო როგორც, გენიალური ასევე, სეპციალური პრევენციის მოსაზრებიდან გამომდინარე. დანაშაულზე ხელის აღება ნებაყოფლობითი არაა მაშინ როდესაც, პირი ქმედებაზე ხელის აღების მიუხედავად, სამართლისადმი მტრული მოტივაციით მოქმედებს. მაგ: 1. პირი მხილების კონკრეტული შიშის გამო იღებს ხელს დანაშაულზე 2. პირი ცოლის მოკვლაზე ხელს იღებს და ცოლის საყვარლის მოსაკლავად გაეშურება, რადგან მისთვის ცოლის საყვარლის მოკვლა უფრო მნიშვნელოვანია. პირველი შემთხვევა არაა ნებაყოფლობით დანაშაულზე ხელის აღება. ამ ინსტიტუტის როგორც ფსიქოლოგიური, ისე ნორმატიული გაგებიდან გამომდინარე. მეორე შემთხვევა კი, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიური გაგებით, ავტონომიურ მოტივს ეყრდნობა და ამიტომაც, პირი ცოლის მოკვლის მცდელობისთვის არ დაისჯება. ნებაყოფლობითობის ნორმატიული გაგება კი, ნებაყოფლობის საფუძველად სამართლის მიმართ, ლოიალურ დამოკიდებულებას აღიარებს, ამიტომაც პირის უმოქმედობა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად არ ჩაითვლება.¹²

სასჯელის მიზნის თეორიას, როგორც დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობის საფუძველს, ნებაყოფლობითობის ნორმატიულ გაგებამდე მივყავართ, თუ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საფუძველად სამართლებრივი სიკეთის დაუზიანებლობას გამოვაცხადებთ, (დასაჩუქრების თეორია) ნებაყოფლობითობის ფსიქოლოგიურ გაგებამდე უნდა მივიდეთ. გასაზიარებელია დასაჩუქრების თეორია და მის საფუძველზე აღმოცენებული ნებაყოფლობითობის ფსიქოლოგიური გაგება, რადგან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობის მიზანი, სამართლებრივი სიკეთის დაცვაა და არა პირის აღზრდა. ამასთან უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ნორმატიული თეორია ემსგავსება საბჭოთა სისხლის სამართალში აღიარებულ ინსტიტუტს. პირის სისხლის სამართლის

¹² მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი 2011. გვ. 100-101

პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას საზოგადოებრივი საშიშროების არ არსებობის გამო, ქმედების სამართალზე უარს თქმასთან მივყავართ.

1.3 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი

დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დანაშაულის აგებულებაზე. მის საკანონმდებლო განსაზღვრულობაზე. დელიქტის სახეების კვლევა აჩვენებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული დანაშაულის შემადგენლობები არ გვანან ერთმანეთს და მათი სამართლებრივი შეფასების კრიტერიუმებიც განსხვავებულია. ზოგიერთი დელიქტის მომზადება და მცდელობა სავსებით შესაძლებელია. ასეთია, მაგალითად სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობა. მაგრამ არის ისეთი დელიქტები, სადაც, როგორც მომზადება, ასევე მხდელობა შეუძლებელია, ასეთია, მაგალითად სსკ-ის 129-ე მუხლის, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დაუხმარებლობისათვის, ამის გარდა სისხლის სამართლის კოდექსში მოცემულია დელიქტის ისეთი სახეები, სადაც შეუძლებელია მომზადება, ხოლო მცდელობა დასაშვებია, მაგალითად სსკ-ის 111 მუხლით გათვალისწინებული განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი, სულიერი აღელვების მდგომარეობაში, ანდა პირიქით, მცდელობა შეუძლებელია, ხოლო მომზადება შესაძლებელი მაგალითად სსკ-ის 224-ე მუხლით გათვალისწინებული ბანდიტიზმი.¹³ ისმის კითხვა შესაძლებელია თუ არა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება იმ განზრახ დელიქტებში, რომლებსაც დანაშაულის მომზადება და მცდელობა არ გააჩნია? ამ კითხვას გერმანიის სისხლის სამართალი ასე პასუხობს, რომ თუ დასაშვებია დანაშაულის მომზადების მცდელობა, მაშინ დასაშვებია ნებაყოფლობით ხელის აღება გერმანიის სსკ-ის 24-ე პარაგრაფის მიხედვით. პირიქით, თუ

¹³ ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი „დამთავრებული დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით“. თბილისი 2013. გვ 354

მოსამზადებელი დანაშაული ფორმალურად უკვე დამთავრებულია, მაშინ ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა აღარ არსებობს და შესაბამისად გერმანიის სსკ-ის 24-ე პარაგრაფის გამოყენების აუცილებლობაც აღარ წარმოიშობა.¹⁴

მაშასადამე, ნებაყოფლობით ხელის აღება, გაბატონებული შეხედულების შესაბამისად სწორედ მომზადების ან მცდელობის სტადიაზე ხორციელდება და ამდენად ლოგიკურია, რომ დელიქტს, რომელსაც ასეთი სტადიები არ გააჩნია შეუძლებელია იქ ნებაყოფლობით ხელის აღებაზე საუბარი.

1.4 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობის საფუძვლები

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მიხედვით, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, ვინც დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია დაუმტავრებელი დანაშაულის, როგორც დანაშაულის მომზადების, ასევე დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის დროს.

სისხლის სამართლის დოგმატიკაში, არ არის ერთიანი აზრი, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობის საფუძვლის შესახებ. კანონმდებელი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ამღებ პირს, ფოიერბახის ხატოვანი გამოთქმით, “ოქროს ხიდს” უგებს და მას ასე კანონიერ სამყაროში დაბრუნების უფლებას აძლევს.¹⁵ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობით კანონმდებელი დანაშაულის ბოლომდე მიყვანას უშლის ხელს და ამგვარად სამართლებრივ სიკეთეს იცავს. ეს მოძღვრება, რომელსაც სისხლის სამართლის დოგმატიკაში კრიმინალ-

¹⁴ 14 ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით“. თბილისი 2013. გვ 354

¹⁵ იხ. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი „დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები“, 2011. გვ. 86.

პოლიტიკური თეორიის სახელის იხსენიებენ, ემპირიულად ჯერჯერობით არაა დასაბუთებული. არაა ცნობილი, ფიქრობს თუ არა პირი კონკრეტულ სიტუაციაში იმის შესახებ, რომ მას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლებენ.

სისხლის სამართლის დოგმატიკაში გამოთქმული დასაჩუქრების თეორიის თანახმად, პირი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას, სამართლებრივი სიკეთის დაზიანების ნებაყოფლობით თავიდან აცილების გამო დასაჩუქრდება.

სასჯელის მიზნის თეორიის მიხედვით, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის არასასურველობის დასაბუთებისათვის სასჯელის მიზანი უნდა მოვიშველიოთ. ხელის აღების ნებაყოფლობითობისას მცდელობის დასჯა არც ზოგადი პრევენციული და არც სპეციალური პრევენციული საფუძვლებიდან გამომდინარე რეკომენდირებული არ არის. სასჯელის კანონით გათვალისწინებული პირველი მიზანი - სამართლიანობის აღდგენა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას მიღწეულია, რადგან განხორციელებული უმართლობა და ბრალი ლეგალურობაში დასაბრუნებელი ქმედების (*contrarius actus*) საშუალებით ნეიტრალდება. არც სუბიექტის რესოციალიზაციაა აუცილებელი, რადგან კანონით აკრძალული ქმედების ჩადენაზე უარის თქმითა და შესაძლო დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებით, პირმა გვაჩვენა, რომ იგი საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს აღარ დაადევს, რომ მას კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა არ აკლია და მომავალში მისგან კანონით აკრძალული ქმედების ჩადენა არაა მოსალოდნელი. სუბიექტის მიერ განხორციელებული აკრძალული ქმედებით საზოგადოებაზე მოხდენილი ზემოქმედება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისა და

დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილების საშუალებით ქარწყლდება და ამგვარად ზოგადი პრევენციის მიზანიც მიღწეულია.¹⁶

სისხლის სამართლის დოგმატიკაში მიუთითებენ, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას კანონით გათვალისწინებულის სასჯელის მუქარა თავის მიზანს ჰკარგავს, რადგან პირი ამ დროს დასჯადი ქმედების განხორციელების საფუძველზე წარმოშობილ მოვალეობას აღასრულებს. ასევე ამტკიცებენ, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი მის მიერ შექმნილის საფრთხის გაქარწყლებაა. საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების დაუსჯელობის საფუძველი ყველა ეს ზემო ჩამოთვლილ არგუმენტია და ისინი ერთმანეთს კი არ გამორიცხავენ, არამედ ავსებენ.¹⁷

მცდელობის გამო არ დაისჯება ადამიანი, რომელიც ნებაყოფლობით ხელს აიღებს ქმედების შესრულების გაგრძელებაზე ან ხელს შეუშლის მის დამთავრებას. თუ ქმედება მასზე ხელის აღების მსურველის ზემოქმედების გარეშე მაინც არ დამთავრდება, მაშინ პიროვნებას სასჯელი მხოლოდ იმ შემთხვევაში ასცდება, როდესაც იგი ნებაყოფლობით და სერიოზული განწყობით შეეცდება ხელი შეუშალოს მის დამთავრებას.¹⁸

ნებაყოფლობით ხელის აღება მცდელობის გამო უკვე წარმოქმნილ დასჯადობას კვლავ გააქარწყლებს, მაგრამ მას ბრალის გამო გაკიცხვის სრული აღმოფხვრა არ შეუძლია. მკვლევართა უმცირესობის აზრით, მას მიმტევებელი ზემოქმედების უნარი არ გააჩნია და იგი მხოლოდ სასჯელის გამომრიცხველ პერსონალურ საფუძველს წარმოადგენს.

¹⁶ წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბილისი 1961. გვ. 87.

¹⁷ წერეთელი თ. დანაშაულის მომზადება და მცდელობა. თბილისი 1961. გვ. 88.

¹⁸ იხ. ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, გვ. 364

1.4.1 ნებაყოფლობითობა

ხელის აღების ყველა ზემოთ განხილულ ვარიანტს საერთო ის აქვთ, რომ სასჯელისაგან გათავისუფლება მხოლოდ მაშინაა ურუნველყოფილი, როდესაც ამსრულებელი ნებაყოფლობით აიღებს ხელს. შედარებით ადრეულ ეტაპზე ნებაყოფლობითობა ფრანკის ფორმულის დახმარებით განიმარტებოდა, დღესდღეობით, ნებაყოფლობითობას უმეტესად ჰეტერონომიული და ავტონომიური საფუძვლების დაწყვილებული ნიშნის მიხედვით მოწმდება.

აღნიშნულის მიხედვით, ხელის აღება ნებაყოფლობითია, თუ ის მაიძულებელი დამაბრკოლებელი მიზეზით კი არაა გამოწვეული, არამედ ის სათავეს ამსრულებლის საკუთარი, ავტონომიური გადაწყვეტილებიდან იღებს. ამგვარი მამოძრავებელი ძალის სახით, მაგალითად, სინდისის ქენჯნა, სინანული, სირცხვილი, მსხვერპლის მიმართ თანაგრძნობა, სულიერი შეშფოთება და სასჯელის წინაშე შიში განიხილება. ამასთან, ხელის აღებისათვის ბიძგი შეიძლება გარედან მოდიოდეს. მაგალითად მსხვერპლის მხრიდან გადარწმუნება, გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ იმას აქვს, რომ ამსრულებელი, ამგვარი ზემოქმედების მიუხედავად, მაინც საკუთარი გადაწყვეტილების ბატონად რჩება, ანუ შესაბამისი დანაშაულის მისთვის კვლავაც შესაძლებლად წარმოჩენილი დამთავრებისაგან თავშეკავების მიზეზს, არც გარე და არც შინაგანი იძულებითი მდგომარეობის გავლენა არ წარმოადგენს. ნებაყოფლობითობა გამორიცხული არ არის, თუ ამსრულებელი უკან შეურაცხ მდგომარეობაში დაიხევს.¹⁹ მცდელობისათვის სასჯელისაგან გათავისუფლების შემოდების საფუძველს ხელის აღების დამსახურებულობა ქმნის. თუმცა ამსრულებელი საქებრად მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც იგი ნებაყოფლობით დაბრუნდება უკან მართლწესრიგის ფუძეზე. ამასთან კანონი ნებაყოფლობითობის დამადასტურებლად მოწონების ღირსი მამოძრავებელი მიზეზისა და ჩვეულების

¹⁹ იხ. ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, სიხსლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, გვ. 386

მიხედვით, მაღალი ღირებულების მქონე მოტივის არსებობას არ მოითხოვს. სქესობრივ დამნაშავეს, რომელიც თავისი მსხვერპლის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას იმის გამო შეწყვეტს, რომ ის მოძალადეს ნებაყოფლობით დანებებას დაპირდა, შეუძლია გაუპატიურების მცდელობაზე სასჯელისაგან გამათავისუფლებელი ეფექტით აიღოს ხელი, თუ იგი სქესობრივი კავშირისკენ მისთვის ჯერ კიდევ შესაძლებელ იძულებას დათქმის გარეშე და საბოლოოდ უკუაგდებს.

რა თქმა უნდა საქმე სხვაგვარადაა, როდესაც მას გადაწყვეტილი აქვს მისთვის წინააღმდეგობის გარეშე დანებებული, სქესობრივი კავშირისათვის თანხმობის განმცხადებელი მსხვერპლის საწინააღმდეგოდ, კვლავ დაუბრუნდეს ძალის გამოყენებას და იძულებას, თუ იგი თავის დაპირებას მაშინვე, ანუ დანაშაულის განხორციელების სიტუაციაში, არ შეასრულებს.²⁰

ხელის აღება არანებაყოფლობითია, თუ იგი ჰეტერომოიული ნებისგან დამოუკიდებელი დამაბრკოლებელი მიზეზებით, რომლებიც მასში გადაულახავ წინაღობებს აღძრავენ ან ვითარებას მის საზიანოდ ისე არსებითად ცვლიან, რომ იგი აღნიშნულთან დაკავშირებულ რისკებს ან უარყოფლით მომენტებს ასატანად აღარ მიიჩნევს ან მათთან შეგუება არ სურს. ამსრულებლის წარმოდგენას, რომლის თანახმადაც მისი ქმედება აღმოჩენილი იქნება ან უკვე აღმოჩენილია და არსებობს საშიშროება, რომ აღმომჩენი ჩანაფიქრის ხორცშესხმას დააბრკოლებს ან სისხლისამართლებრივი დევნის ღონისძიებების დაწყებას უბიძგებს, შეუძლია ხელის აღებისა ნებაყოფლობითობა გამოირიცხოს. აღნიშნულისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ცალკეული შემთხვევის გარემოებებს აქვთ. როდესაც ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება, თუ რომელმა წარმოდგენებმა გამოიწვია ამსრულებლის ხელის აღება, მაგრამ განხილვის საგნად ქცეული ყოველი მამოძრავებელი მიზეზი არანებაყოფლობითობას დაუდებდა სათავეს, მაშინ ხელის

²⁰ იხ. ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, გვ. 386

არება არანებაყოფლობითად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო თუ პირიქით კარი ღია რჩება აგრეთვე მოტივისთვის, რომელიც ნებაყოფლობითობამდე მიგვიყვანდა, ამ შემთხვევაში ნებაყოფლობითობა გვექნება.²¹

იურდიულ მეცნიერებაში დამკვიდრებულ მკვლევართა მხოლოდ მცირე ნაწილის მიერ აღიარებულ შეხედულებას, სურს ნებაყოფლობითობისა და არანებაყოფლობითობის გამიჯვნისას სასჯელის მიზნის შესახებ თეორიის ხედვის კუთხიდან ორიენტირად „დამნაშავის გონიერების მასშტაბები“ გამოიყენოს, თუმცა აღნიშნულიდან საკმარისად ზუსტი კრიტერიუმების გამოყვანა შეუძლებელია.

ჰერცბერგის მიერ წარმოდგენილი „უკიდურესი აუცილებლობის თეორია“ ცდილობს ნებაყოფლობითობა მაშინ უარყოს, როდესაც ხელის აღების განმახორციელებელი აქტი, რაიმე საფრთხის ზეწოლის შედეგად გატარდება, როგორც ეს მიტევების განმაპირობებელი უკიდურესი აუცილებლობის დროსაა დათქმული. აღნიშნული კრიტერიუმების მოხმობას თვითნებური იერი აქვს და ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე ყოველთვის ზღუდავს ხელის აღებას იქ სადაც, ამსრულებელთან დაახლოებული პირია.

თავი II

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ობიექტური და სუბიექტური ელემენტები

²¹ იხ. ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, სიხსლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, გვ. 387

2.1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მოქმედების და უმოქმედობის დროს

საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის მეხუთე ნაწილი არეგულირებს როგორც აქტიური, ასევე პასიური ქმედებით განხორციელებულ ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევებს. აღნიშნული მუხლი ვრცელდება როგორც მოქმედების, ასევე უმოქმედობით ხელის აღების ფაქტებზე. სიტყვა-სიტყვით და ლოგიკური განმარტების ხერხებზე დაყრდნობით, ტერმინი “ქმედება” თავის თავში მოიცავს, როგორც მოქმედებას, ასევე უმოქმედობას. წმინდა უმოქმედობისას სავალდებულო მოქმედების შეუსრულებლობა უკვე დამთავრებულ დანაშაულად ითვლება, ამიტომაც წმინდა უმოქმედობის მცდელობა დოგმატიკურად წარმოუდგენელია.

ნებაყოფლობით ხელის აღება პასიური ქმედებით მაშინ არის სახეზე, როდესაც დამნაშავე გადაიფიქრებს დანაშაულის შემდგომ განხორციელებას და აღარ იმოქმედებს. მაგალითად, ა. მკვლელობის მიზნით მეორე დღეს აღარ მივიდა საფარში. თუმცა, არის ისეთი შემთხვევები, როდესაც დამნაშავე დანაშაულის მომზადების სტადიაზე უმოქმედობით ვერ მოახერხებს ხელის აღებას, არამედ აუცილებელია მან ამისათვის რაღაც მოქმედება განახორციელოს.²²

შერეული უმოქმედობის დროს შესაძლებელია დანაშაულის როგორც მომზადება ასევე მცდელობა, ამიტომაც დანაშაულზე ხელის აღება შერეული უმოქმედობის დროსაცაა შესაძლებელი. შერეული უმოქმედობის დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია, როგორც მოქმედებით ასევე უმოქმედობით.

ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებული პოზიციის თანახმად, ნებაყოფლობით ხელის აღება, შესაძლებელია, როგორც დაუმთავრებელი, ასევე

²² ხარნაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით“ თბილისი 2013. გვ 355-356

დამთავრებული მცდელობის სტადიაზე. ანალოგიური პოზიცია გააჩნია ზოგიერთ გერმანელ მეცნიერს. ისინი მიუთითებენ იმაზე, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება დამთავრებული მცდელობის სტადიაზე დამნაშავეს შეუძლია მხოლოდ აქტიური მოქმედებით, რათა ხელი შეუშალოს დანაშაულის დამთავრებას.

თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის მეცნიერება სამართლიანად უარყოფს საკითხისადმი ამგვარ მიდგომას და თვლის, რომ დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობის სტადიაზე დამნაშავეს შეუძლია ხელი აიღოს როგორც აქტიური, ასევე პასიური ქმედებით.

2.2 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიური ბუნება

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი საინტერესო საკითხების ფართო წრეს მოიცავს. თითოეული მათგანის დამოუკიდებელი სწავლა ძალზე მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის თეორიისა და პრაქტიკისათვის.

როდესაც ნებაყოფლობით ხდება ხელის აღების დაწყებული დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე საკითხს ამ კუთხით წარმოჩენა მარტო წმინდა ფსიქოლოგიური ინტერსით არ აიხსნება, ვინაიდან საქმე ეხება პიროვნების ისეთ მოქმედების, ფსიქოლოგიას, რომელიც განსაზღვრულ სისხლის სამართლებლივ შედეგებს იწვევს. იგი მნიშვნელოვანია, აგრეთვე, დაწყებულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას პიროვნების სისხლის სამართლის პასუხიმგებლობისგან გათავისუფლების იურიდიული დასაბუთებისთვის. როგორია პიროვნების მოქმედების ფსიქოლოგიური ბუნება დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას. სადავო არ არის ის ფაქტი, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრხვით. დაწყებული დანაშაულის შემთხვევაში, რომლის დროსაც, სუბიექტს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების მნიშვნელობა და ითვალისწინებს მისგან გამომდინარე შედეგებს და სურს იგი. შეუძლებელია

ნებაყოფლობით ხელის აღების დაშვება ქმედებაში ბრალის გამოვლინების დროს, რადგან ასეთი რამ ფსიქოლოგიურად სავსებით შეუსაბამოა თვით ნებაყოფლობით ხელის აღების ბუნებასთან დაწყებულ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას მოვლენათა განვითარების ასეთი ხასიათი იქმნება: პირი იწყებს ქმედებას პირდაპირი განზრახვით მიმართულს რომელიმე კონტრეტული დანაშაულის ჩადენისკაკენ.²³ ამ მომენტიდან იგი იძენს თავის დამახასიათებელ ნიშანს, რომელსაც სამართლის ენაზე პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროება ეწოდება და ექცევა სამართლის სფეროში რომლის შესახებაც კი მარქსი ამბობდა, „მხოლოდ იმდენად რამდენადაც მე ვავლენ ჩემს თავს, მე შევდივარ სინამდვილის სფეროში, მე შევდივარ კანონმდებლობის დაქვემდებარების სფეროში, ჩემი მოქმედების გარეშე მე სრულიად არ ვარსებობ კანონისთვის სრულიად არა ვარ მისი ობიექტი“ დაწყებული დანაშაულის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე სუბიექტი დანაშაულებრივ მოქმედებას და მისი ქცევა სრულიად საპირისპირო შინარსს იძენს, რომელიც თავდაპირველ განზრახვის საწინააღმდეგოდ სხვა სოციალური და იურუდიული მნიშვნელობის მქონე შედეგით სრულდება. ²⁴სისხლის სამართლის დანაშაულზე ნებაყოფლობით სიტუაციაში სწორედ მისი საბოლოო შედეგის გამომწვევი მიზნები აინტერესებს. ცნობილია რომ ნებაყოფლობით ხელის აღების იურისპრუნდენცია თუ პირი მოქმედებს ისეთ ვითარებაში სადაც მას აქვს სრული შესაძლებლობა ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული დანაშაული და თვით სუბიექტს მტკიცედ სწამს ასეთი შესაძლებლობის არსებობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კანონმდებელი დაწყებულ დანაშაულზე ხელის აღებისას პიროვნების პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას განმსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებს ნებით აქტს. ანუ იმის გარკვევას ნამდვილად იყო თუ არა დანაშაულზე ხელის აღება სუბიექტის თავისუფალი ნების გამოვლინება. როგორც პროფ. *თ. წერეთელი* აღნიშნავს,

²³ სულაქველიძე დ. „დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიური ბუნებისათვის“ ჟურ „ალმანახი“ სამართალი 1980. N4 გვ 46.

²⁴ სულაქველიძე დ. „დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიური ბუნებისათვის“ ჟურ „ალმანახი“ სამართალი 1980. N4 გვ 47.

დანაშაულზე ნებაყოფლობით რომ იღებს ხელს პირი, ასე მსჯელობს ‘მე შემძლია ბოლომდე მივიყვანო დანაშაული, მაგრამ არა მსურს ეს“. პირიქით თუ სუბიექტი მსჯელობს „მე მსურს დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, მაგრამ ეს ჩემთვის შეუძლებელია „ აქ ადგილი აღარ აქვს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას. ამგვარად დანაშაულის დაწყებაც და შემდგომ მასზე ხელის აღებაც პირის ნებელობითი აქტებია. დაწყებული დანაშაულის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე ნებაყოფლობით იღებს ხელს მის შემდგომ გაგრძელებაზე და შემობრუნებას ახდენს სრულიად საპირისპირო მიმართულებით. ამ შემობრუნებას ის რთული ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელიც სუბიექტის აღნიშნულ ქცევაშია ჩართული და ამ უკანასკნელს წარმართავს. ყველა ნორმალური ადამიანი იქნება ეს დანაშაულზე თუ არადადნაშაულზე დაჯილდოებულია ნებელობითი მოქმედების უნარით. თავისუფლება მოწმობს პიროვნების გარდაქმნას თავისი მომავალი ქცევისადმი. როგორც *დ.უზნაძე* მიუთითებს იგი „მე“-დან გამომდინარე აქტივობაა, რომელშიდაც სუბიექტის პოზიცია ირკვევა მომავალი ქცევის მიმართ.²⁵

მართებულად აღნიშნავს პროფ. თ. წერეთელი, რომ პასუხისმგებლობის მოხსნის საკითხი მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს, როდესაც დანაშაულის წინაშე თავისუფალი არჩევანი იყო ან ბოლომდე მიეყვანა დანაშაული, ან ხელი აელო მასზე და მან დანაშაულზე ხელის აღება აარჩია. ²⁶ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ვითარებაში სუბიექტის არჩევანი და მისი შემდგომი მოქმედება თავისუფალია, რამდენადაც აქ “სუბიექტი თვითონ ქმნის თავის თავში განსაზღვრული მოქმედების განწყობასა და მაშასადამე, თვითონ იწვევს დამოუკიდებლად ამ მოქმედებას”. ²⁷ მაგრამ რას ნიშნავს თვითნების თავისუფლება? მას ფ. ენგელსი ასე განმარტავს: “ნების თავისუფლება ნიშნავს მხოლოდ საქმის ცოდნით გადაწყვეტილების მიღების უნარს”. ფ. ენგელსის გამოხატულ

²⁵ სულაქველიძე დ. „დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიური ბუნებისათვის“ ჟურ „ალმანახი“ სამართალი 1980. N4 გვ 48.

ვითარებასთან გვაქვს საქმე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების სიტუაციაში, ვინაიდან, როცა ხელს იღებს დანაშაულზე სუბიექტი სავსებით დარწმუნებულია, რომ მას სრული შესაძლებლობა აქვს ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული დანაშაული და საამისოდ ხელს არაფერი უშლის; იცის, თუ რა შედეგები უნდა მოჰყვეს მის შემდგომ მოქმედებას, ისიც იცის, რომ არსებობს შესაძლებლობა შეეცვალოს თავისი ქცევის თავდაპირველი კურსი და შეწყვიტოს დანაშაული, იცი, რა სურს და რა უნდა ჰქნას მომავალში. ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება გავიხსენოთ აგრეთვე გერმანელი კრიმინალისტიკის ფრანც ლისტის თვალსაზრისი. დანაშაულის ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიურ მხარეს, რომ ეხება, იგი წერს: “ხელის აღება გამოწვეული უნდა იყოს არა გარეგანი გარემოებებით, არამედ გამომდინარეობდეს მოქმედი პირის თავისუფალი გადაწყვეტილებიდან, განურჩევლად იმისა, მიღებული იყო იგი შიშისა თუ მონანიების, მორალური თუ ფიზიკური ზიზღის, თუნდაც ყველაზე მდაბალი გრძობების ზეგავლენით”.²⁸

გარეგნულად სუბიექტის მიერ დანაშაულის დაწყება და შემდეგ ამ დაწყებულ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ერთ მთლიან მოქმედებად შეიძლება გვეჩვენოს, მაგრამ ფსიქოლოგიური და იურიდიული თვალსაზრისით გარეგნულად ერთიან მოქმედებაში მოქცეული ეს ორი აქტი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ისინი ორ აშკარად ურთიერთდაპირისპირებულ ნებასა და მათ შესაბამის ქცევას გამოხატავენ. და თუ ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ, დაწყებულ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას განვიხილავთ როგორ ერთიან ფსიქოლოგიურ ქცევას მისი დასაწყისიდან დასასრულის ჩათვლით, მაშინ მივალთ ფსიქოლოგიურად და ლოგიკურად დაუსაბუთებელ დასკვნამდე, რომ ერთსა და იმავე, ფსიქოლოგიური შინაარსით ერთიან მიზანმიმართ ქცევას წარმართავს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ნება, ან პირიქით, პიროვნების განწყობაში მოცემული ერთი ფსიქოლოგიურ - იურიდიული შინაარსის მქონე ერთი ნება ხელმძღვანელობს

²⁸ სულაქველიძე დ. „დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიური ბუნებისათვის“ ჟურ „ალმანახი“ სამართალი 1980. N4 გვ 49.

და წარმართავს ორს. ამიტომ, სუბიექტის მიერ დანაშაულის დაწყება და შემდეგში მიბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით ხელის აღება განხილულ უნდა იქნეს გარგბულად ერთიან და მექანიკურად უწყვეტ, მაგრამ ფსიქოლოგიური და სოციალურ-იურიდიული თვალსაზრისით სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთ გამომრიცხველი შინაარსის მქონდე ორი ქცევისაგან შემდგარ ქმედობად, რომელსაც ორი ურთიერთდაპირისპირებული ნება წარმართავს. ნებაყოფლობით რომ აიღო ხელი დაწყებულ დანაშაულზე, დანაშაულის სუბიექტიდან პიროვნება იქცა მართლზომიერი ქცევის სუბიექტად, მის განწყობაში აღარ არის თავდაპირველი ჩანაფიქრი, რომლის ადგილიც დაიკავა გადაწყვეტილებამ - აღარ ჩაიდინოს დაწყებული დანაშაული, მაგრამ ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტისათვის მისაღებია მხოლოდ სუბიექტის ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არის საბოლოო და ურყევი, ვინაიდან “გადაწყვეტილების აქტი თავისთავად მომენტურია, მაგრამ იმისათვის, რომ ის, რაც გადაწყვეტილია, შესრულდეს, აუცილებელია გადაწყვეტილება შეურყეველი დარჩეს, რათა ქცევა ბოლომდე თავისდაშესაფერისად წარმართოს. ასეთ სტაბილიზებულ გადაწყვეტილებას განზრახვა ეწოდება. განზრახვა ნებელობის აქტში შექმნილი განწყობა უდევს საფუძვლად” მიღებული გადაწყვეტილების აღრულებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოქმედი სუბიექტის უნარი-ბოლომდე შეინარჩუნოს ერთხელ მიღებული გადაწყვეტილება და იმოქმედოს იმის შესასრულებლად, რასაც პირობითად ნებისყოფას უწოდებენ. თუ გადაწყვეტილებას არ ახლავს ძლიერი ნებისყოფა იგი შეუსრულებელი რჩება და თვით გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტიც ყოველგვარ პოზიტიურ მნიშვნელობას კარგავს. სუბიექტის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება არამართო სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით, არამდე ფსიქოლოგიურადაც მეტად საინტერესო მოვლენაა, რომელშიც მკაფიოდ არის წარმოდგენილი პიროვნების შინაგანი დიალექტიკური ბუნება. პიროვნების მსოფლმხედველობა, აზროვნება, ადამიანური ვნებები და განწყობა არ არის სწორ ხაზოვანი, ერთხელ და სამუდამოდ

განსაზღვრული, რომელსაც იგი ბრმად უნდა ემორჩილებოდეს.²⁹ მას აქვს უნარი ამა თუ იმ სიტუაციაში სხვაგვარი შეფასება მიცეს საგნებსა და მოვლენებს, შემოქმედებითი ელემენტები შეიტანოს თავის საქმიანობაში, შეიცნოს და გამოასწოროს წინათ დაუშვებელი შეცდომები წინააღმდეგობა გაუწიოს თავის ბუნებასთან შეუთავსებელ მოვლენას, შეცვალოს ქცევის თავდაპირველი კურსი, გამოავლინოს ხასიათის სიმტკიცე, გაბედულად მილოს გადაწყვეტილებანი და იმოქმედოს მათ შესასრულებლად, ბოლომდე თავისდაშესაფერისად წარმართოს ახალი ქცევა და ა.შ. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ვითარებაში სწორედ ადამიანის შინაგანი ბუნების მრავალმხრიობა მჟღავნდება - სიმყარე და იმავდროულად მისი დინამიკურობაც, ერთსა და იმავე დროს ხასიათის სიმტკიცეც და ელასტიურობაც, განწყობათა ცვლაც და ნებისყოფაც. ამითომ ვთვლით რომ სუბიექტის მიერ ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე ვერ მიეწერება მის მერყევ ხასიათს, მიღებულ გადაწყვეტილებათა არასაკმარის სიმტკიცეს, მისი ნებისყოფის სისუსტეს და ა.შ. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ნებელობა და ამის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება განსაზღვრავს სუბიექტის მზადყოფნას მართლზომიერი ქცევისთვის, რასაც შედეგად მოსდევს დაწყებული დანაშაულის თავიდან აცილება. ასეთ პირობებში მოხსნილია მიტოვებული დანაშაულის ხელახლა გაგრძელებისა და მისი ბოლომდე მიყვანის რეალური საშიშროება. ეს მოსაზრებანი სუბიექტის განწყობაში გადაწყვეტილების შეცვლის ფაქტს ემყარება, რამაც უშუალო ზეგავლენა იქონია მისი შემდგომი ქცევის მიმართულებასა და ხასიათზე. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტში პიროვნების მამოძრავებელი მოტივების გამოკვლევა ხდება მხოლოდ და მხოლოდ იმის გასარკვევად, რომ პირის მიერ ხელის აღება დაწყებულ დანაშაულზე ენამდვილად ნებაყოფლობით მოხდა თუ იგი იძულებული იყო მისგან დამოუკიდებელი გარემოებების ზეგავლენით გადაედგა ასეთი ნაბიჯი ამიტომ გადაწყვეტი

²⁹ სულაქველიძე დ. „დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიური ბუნებისათვის“ ჟურ „ალმანახი“ სამართალი 1980. N4 გვ 50.

მნიშვნელობა ვერ მიენიჭება სუბიექტის იმ მამოძრავებელ ფსიქიკური მოტივების ზნეობრივი ხასიათის გამოკვლევასა და მათ მორალურ-პოლიტიკურ დახასიათებას, რომელბსაც ის ხელმძღვანელობდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას, თუნდაც ეს შეფასება უარყოფითი იყოს.³⁰ ლენინგრადელი კრიმინალისტის *მ.ვ. ლიასის* აზრით, ყველა მოტივი, რომლებითაც სუბიექტი ხელმძღვანელობდა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისას, ერთნაირი მნიშვნელობისაა, რამდენადაც მათ მიიყვანეს პიროვნება დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღებამდე, რაც მოცემულ მომენტში მოწმობს მასში დანაშაულებრივი გაზრახვის არ არსებობას და აღმოფხვრის მის საზოგადოებრივ საშიშროებას.³¹

სისხლის სამართალში შეიმჩნევა ერთგვარი მისწრაფება, რომ სისხლისსამართლებრივი მოვლენები, უმეტესად, აიხსნას და დადგინდეს ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, იმ ობიექტური მონაცემებით, რომლებიც უფრო ნათელი და ხელშესახებია. საბჭოთა სისხლის სამართალმა ქმედების სუბიექტურ მხარეს გადამწყვეტი როლი დააკისრა. სუბიექტურ კრიტერიუმებს ობიექტური მხარის ტოლფარდი მნიშვნელობა მიენიჭა სისხლის სამართალიში ისეთი უმნიშვნელოვანესი ცნებების აღიარებით როგორც არის ბრალი, დანაშაულებრივი ქმედების მიზანი, მოტივი, პიროვნების ემოციური მდგომარეობა და ა.შ. თუ დანაშაულზე ხელის აღების ვითარებაში არ მივიღებთ მხედველობაში მისი ჩამდენი სუბიექტის ნებელობას, მისი ქცევის ფსიქოლოგიურ მექანიზმს, მის მთლიან პიროვნულ ხასიათს და მომავლისადმი მისი სუბიექტური დამოკიდებულების შინაარსს, ეს ძალიან გაართულებდა პასუხისმგებლობის საკითხს იმ შემთხვევაში, როდესაც დამნაშავე იძულებული იყო შეეწყვიტა დანაშაული მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო.³²

³⁰ სულაქველიძე დ. „დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიური ბუნებისათვის“ ჟურ „ალმანახი“ სამართალი 1980. N4 გვ 51.

³² სულაქველიძე დ. „დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიური ბუნებისათვის“ ჟურ „ალმანახი“ საართალი 1980. N4 გვ 52-53

ამრიგად, დანაშაულის განვითარების გარკვეულ მომენტში სუბიექტი ნებაყოფლობით ხელს იღებს ქმედობის ბოლომდე მიყვანაზე. ამის მიზეზია პიროვნების განწყობის შეცვლა, სახელდობრ, ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც მიმართულია დაწყებული დანაშაულის წინააღმდეგ. ახალი გადაწყვეტილების აღმოცენებამ, მისმა განმტკიცებამ და სისრულეში მოყვანამ მოსპო მიტოვებული დანაშაულის ხელახლა გაგრძელებისა და ბოლომდე მიყვანის³³ რამდენადმე რეალური საფრთხე. მთლიან ეს მოვლენა თვით პიროვნების გარდაქმნის მაჩვენებელიც არის.

ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ვითარებაში პიროვნება თავის ქცევას ხელმძღვანელობს არა გარედან თავსმოხვეული იძულებით, არამდე საკუთარი ნებასურვილით, სრული შეგნებითა და საქმის არსის ცოდნით. იგი თვით არის მიზეზი მთელ მის მოქმედებებში ცუდისა და კარგისა, ამიტომ მართებულად უნდა ჩაითვალოს იმის დაშვება, რომ პიროვნება, რომელიც საკითხს წყვეტს კეთილგონიერად (მართლზომიერი მოქმედების სასარგებლოდ), უკვე ის პიროვნება აღარაა, რომელიც წინათ სხვაგვარად წყვეტდა იმავე საკითხს. მან განიცადა აშკარა შმეობრუნება დამნაშავიდან მართლზომიერ ქცევის სუბიექტამდე.

ამგვარად, დანაშაულის ნებაყოფლობით ხელის აღებისას სუბიექტის ქცევის ფსიქოლოგიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ დროს ის ძირეულ გარდატეხას განიცდის და სულ სხვანაირი ხდება, ვიდრე იყო მაშინ, როცა დანაშაულის გზას დაადგა სახელდობრ, ისპობა მისი პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროება. ეს კი მნიშვნელოვანია საფუძველია იმისათვის, რომ კანონმდებელმა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გაათავისუფლოს სუბიექტი, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დაწყებული დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე.

სასამართლო გადაწყვეტილებები სისხლის სამართლის საქმეებზე გვერდს ვერ აუვლის ფსიქოლოგიზმს. ამის დასადასტურებლად შეიძლება პრაქტიიდან რამდენიმე მაგალითი მოვიტანოთ:

ა. ტყეში გაუპატიურების მიზნით ბ. წააქცია მიწაზე. ვინაიდან დაზარალებული ძირს იწვა, წინააღმდეგობის გაწევა არ უცდია იმ იმედით, რომ ამ ხერხით დროს გაიყვანდა და ამასობაში, შეიძლებოდა ვინმეც დახმარებოდა. დაზარალებულმა თავდამსხმელს სთხოვა, რომ მის წინააღმდეგ ძალა არ გამოეყენებინა და დალოდებოდა იმ მომენტს, როდესაც მას სქესობრივი კავშირის დამყარების სურვილი გაუჩნდებოდა. ა. დაეთანხმა დაზარალებულს. ბ-მ უეცრად ორი ფეხით მოსიარულე დაინახა და საშველად მოუხმო მათ, რაზედაც ა. შეშინდა და გაიქცა.

გერმანიის მიწის სასამართლომ ა.-ს ქმედება გაუპატიურების მცდელობად შეაფასა, რადგან მან მმხდევლობაში მიიღო ა.-ს ქმედების არანებაყოფლობითი ხასიათი. გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ კი მიწის სასამართლოს შეხედულება მკაცრი ფსიქოლოგიური შეხედულების საფუძველზე უარყო და ა. ქმედების ნებაყოფლობითი ხასიათი დაასაბუთა. მისი თქმით, გადამწყვეტია ის ფაქტი, რო ა. ჯერ კიდევ თავისი გადაწყვეტილების ბატონი იყო და მისი გეგმის განხორციელებას იგი ჯერ კიდევ შესაძლებლად თვლიდა. მაშასადამე, მას ჰქონდა თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, შეეწყვიტა ან გაერგძელებინა ქმედება.³⁴

სისხლის სამართლის მეცნიერებაში დიდ ინტერესს იწვევს ერთ-ერთი ისეთი შემთხვევა, როდესაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში. საქმე იმაშია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლისმართლის საქმეთა საკასაციო პალატამ ნებაყოფლობით ხელის აღებად მიიჩნია პირის ქმედება და არ გაიზიარა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები,

³⁴ ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით“. თბილისი 2013. გვ331

რომლის თანახმადაც ა-ს და ბ-ს დაეკისრათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გაუპატიურების მცდელობისათვის.

საქმის ფაბულა მდგომარეობს შემდეგში: ა-მ გადაწყვიტა ბ-სთან ერთად დ-ს გაუპატიურება. თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იარაღის მუქარით მათ დ- წაიყვანეს ტყუეში, სადაც არავინ არ იმყოფებოდა, წააქციეს მიწაზე და დაუწყეს შარვლის გახდა. დ-მ წინააღმდეგობა გაუწია მოძალადეებს, ატეხა ყვირილი. ა-მ და ბ-მ დანაშაული ბოლომდე აღარ მიიყვანეს, მიატოვეს შემთხვევის ადგილი და მიიმაღნენ.

არგუმენტი, რომლის საფუძველზე ა და ბ-ს გაუპატიურების მცდელობისთვის დაეკისრათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სასამართლოს აზრით, ემყარებოდა ობიექტურად ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოიხატა დაზარალებულის ყვირილში და მისი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევაში, რაც დანაშაულის შეწყვეტის მიზეზი გახდა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში ნებაყოფლობით ხელის აღების ფაქტი გამორიცხა.³⁵

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატამ კი, საქმის ფაქტბრივი გარემოებების გათვალისწინებით, მიუთითა იმაზე, რომ დ-ს მხრიდან გაწეული ფიზიკური წინააღმდეგობა და ყვირილი არ შეიძლება ჩაითვალოს იმ ობიექტურ ხელშემშლელ გარემოებად, რომელთა არსებობის შემთხვევაში მსჯავრდებულები თავიანთ განზრახვას სისრულეში ვერ მოიყვანდნენ. სწორედ ამიტომ საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ა და ბ ქმედებებში ადგილი ჰქონდა ნებაყოფლობით ხელის აღებას გაუპატიურების დამთავრებული მცდელობის სტადიაზე. მაშასადამე, უზენაესი სასამართლო დამნაშავეთა ქმედებებში ფსიქოლოგიური შეფასების საფუძველზე ახდენს ნებაყოფლობით ხელის აღების დასაბუთებას.

³⁵ ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით“. თბილისი 2013. გვ332

2.3 განზრახვა როგორც დანაშაულის ხელის აღების

სუბიექტური ელემენტი

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაში “მიზანს” თავდაპირველად არანაირი ყურადღება არ ექცეოდა, მაგრამ 1982 წელს გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ მის მიერ გამოტანილ განაჩენში მიზანი როგორც ხელის აღების სუბიექტური ელემენტი, მიუთითა. ამის შემდგომ, იგი გერმანიის სისხლისსამართლის ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინებში გამოიხატა.

აღსანიშნავია ის, რომ ნებაყოფლობითობა პრინციპულად ითვალისწინებს ხელის აღების გამიზვნას. თუმცა შესაძლებელია ნებაყოფლობით ხელის აღებას ასევე, გამიზვნის გარეშეც ჰქონდეს ადგილი.³⁶ ამ აზრის საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი მაგალითი. ა, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი ცოლის მოკვლა, საწამლავი შეურია საჭმელში. რამდენიმე ხნის შემდგომ, როდესაც ა სამზარეულოში დაბრუნდა, ნახა, რომ მისი ცოლის გარდა მის შვილსაც უჭამია. შემოფოტებულმა ა-მ მაშინვე სასწარაფო გამოიძახა, რათა მისი შვილი გადაერჩინა. ამასთან, მისთვის ნათელი იყო რომ ექიმი მის ცოლსაც გადაარჩენდ, მაგრამ იგი ბავშვის სიკვდილს სხვანაირად ვერ აიცილებდა თავიდან. ა-ს ქმედება, რომელიც მისი ცოლის გადარჩენისკენ იყო მიმართული, მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. ამრიგად, როდესაც ასეთ შემთხვევებს აქვს ადგილი, როდესაც დამნაშავე დანაშაულიში ხელის აღების დროს ნებაყოფლობით და ამავე დროს, პირდაპირი განზრახვით მოქმედებს, შესაძლებელია გამიზვნა, როგორც ასეთი, არ წარმოადგენს ნებაყოფლობითობას.

ამასთან სისხლის სამართლის ლიტერატურაში დაისვა საკითხი იმის შესახებ შესაძლებელია თუ არა, რომ დანაშაულზე ხელის აღებად ჩაითვალოს შემთხვევა,

³⁶ ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით“. თბილისი 2013. გვ 332

როდესაც დამნაშავე დაზარალებულის გადარჩენას შესაძლებლად თვლის, ე.ი როდესაც დამნაშავე მოქმედებს ევენტუალური განზრახვით.

ევენტუალური განზრახვით დანაშაულზე ხელის აღების შესაძლებლობის საკითხი გერმანული სისხლის სამართლის პრაქტიკაში შემდეგნაირად წყდება: მაგალიტად ა თავის ცოლს ქ-ს ერთხელ დაარტყა დანა მუცელში. იგი საკმაოდ აგრესიულად იყო განწყობილი ცოლის მიმართ მიუხედავად ამისა, მან გაწყვიტა დანაშაულებრივი ქმედება და ოთახიდან გავიდა. გერმანიის მიწის სასამართლომ ამ შემთხვევაში უარყო ნებაყოფლობით ხელის არების ფაქტი, რადგან მისი აზრით, არაპირდაპირი განზრახვით განხორციელებული მკვლელობის მცდელობა, როგორც ობიექტურად, ისე სუბიექტურად დამტავრებული იყო. ამასთან დაკავშირებით, გერმანიის ფედერალური სასამართლო ფიქრობს, რომ ასეთი შეფასება დავას არ გამოიწვევდა მაშინ, როდესაც დადგინდებოდა, რომ ბრალდებული მხოლოდ არაპირდაპირი განზრახვით მოქმედებდა, ანუ თუ მას ცოლის მოკვლა პირდაპირ არ ჰქონდა განზრახული.³⁷

თავი III

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ეტაპზე

³⁷ ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით“. თბილისი 2013. გვ 333

3.1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის მომზადების ეტაპზე

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „დანაშაულისათვის მზადებად ჩაითვლება საშუალების ან იარაღის გამოძებნა თუ მომარჯვება ან სხვაგვარი პირობების განზრახ შექმნა დანაშაულის ჩასადენად“. დანაშაულის მომზადების ანალოგიურ განმარტებას იძლევა სსრ კავშირისა და რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-17 მუხლის პირველი ნაწილი, ოღონდ დამატებით მიუთითებს, რომ პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე და მძიმე დანაშაულთა მომზადებისათვის.³⁸

დანაშაულის მომზადებას მისი განვითარების შედარებით ადრეულ სტადიას წარმოადგენს. მისი საშიშროება იმსაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოფს აუცილებელ ხელშემწყობ პირობებს დანაშაულის ჩასადენად ან აადვილებს მას. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში პროფესორმა **თ.წერეთელმა** პირველმა ჩამოაყალიბა ფართო და დასაბუთებული თვალსაზრისი დანაშაულის მოსამზადებელი მოქმედების შინაარსის თაობაზე. იგი მიუთითებდა, რომ ასეთ მოქმედებაში, როგორც დანაშაულის ჩასადენად სათანადო პირობების შექმნაში, უწინარესად იგულისხმება იარაღისა და საშუალებების გამონახვა და მომარჯვება.

ნებაყოფლობით ხელის აღება მომზადების სტადიაზე ყოველთვის შესაძლებელია, როგორც ამ მოქმედების დასაწყისში, ისე მისი მიმდინარეობისას და დამთავრებულ ეტაპზეც. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხებს რაიმე განსაკუთრებული სირთულეები არ ახლავს. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ

³⁸ სულაქველიძე დ. სადისერტაციო ნაშრომი „დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება“ თბილისი 1992 გვ 157

მოსამზადებელი ქმედება დანაშაულის განვიტარების ფრიად ადრეულ ეტაპზეა, იგი არ წარმოადგენს დანაშაულის უშუალოდ განხორციელების დასაწყისს და მისი უმართლობის ხარისხი ძალზე მცირეა.

3.2 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დაუმთავრებელი მცდელობის ეტაპზე

დაუმთავრებელი მცდელობისას პიროვნების დასჯადობა გაქარწყლდება, თუ ამსრულებელი ნებაყოფლობით იტყვის უარს დანაშაულის განხორციელების შემდგომ გაგრძელებაზე. ეს წესი უვარგის მცდელობაზეც ვრცელდება, რამდენადაც ამსრულებელს არასაკმარისი ვარგისიანობა შეცნობილი აქვს. დანაშაულზე უარის თქმა შესაბამისი „საპირისპირო გადაწყვეტილების“ საფუძველზე კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის განხორციელების შესახებ შემდეგი რეალიზების უკუგდებას ნიშნავს. იგი ამსრულებლის მხარეს ისეთი წარმოდგენის არსებობის პირობას აწესებს, რომლის თანახმადაც, მას ჯერ კიდევ შეეძლო დანაშაულის შმეადგენლობის განხორციელება.³⁹

ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებში ხშირად ისმოდა, რომ სასჯელისაგან გამათავისუფლებელი ეფექტით ხელის აღება მხოლოდ იმ ადამიანს შეეძლო, რომელმაც საკუთარი დანაშაულებრივი გადაწყვეტილების ხორცშესხმა „მთლიანად და საბოლოოდ“ უარყო. ეს ფორმულა გაუგებრობას იწვევს, ის ხელის აღებას ზედმეტად ვიწრო საზღვრებსაც უწესებს. მართალია ოდესმე ხელსაყრელი შემთხვევისას, ქმედების განხორციელების ხელახალი მცდელობის ან მის მაგივრად სხვა დანაშაულის ჩადენის შესახებ შინაგანი დათქმა სამართლისადმი ამსრულებლის მტრული განწყობის მაჩვენებელია, მაგრამ უკვე დაწყებულ კონკრეტულ დანაშაულზე ხელის აღებას ის წინ არ უდგას.

³⁹ ვესელსი ი./ ბოილკე ჰ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაული და მისი აგებულება. 2010. გვ 376

საპირისპირო მოსაზრების თანახმად, სასჯელისაგან გამათავისუფლებელი ზემოქმედების ძალა დანაშაულისკენ მიმართული კონკრეტული ქცევის შესრულებისაგან თავის შეკავებასაც უნდა ჰქონდეს. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა ძალიან შორს წაგვიყვანს, რადგან ლერგალურობაში უკან დაბრუნების არავიტარი ნიშანი არ გვაქვს სახეზე მაშინ, როდესაც ამსრულებელი დანაშაულისკენ მიმართულ საკუთარ ავდაპირველ აქტს, მასზე უშუალოდ მიდევნებულად, სხვა თანავბარი მნიშვნელობის მქონე ფორმით შეცვლის. მაგალითად საცავში გადამრომის ნაცვლად, საცავის კარის გატეხვას აარჩევს.⁴⁰

აღნიშნულიდან გამომდინარე, უპირატესობას გაშუალებული მოსაზრებამსახურებს, რომლის თანახმადაც, ძირითადად კონკრეტულ დანაშაულზეუარის თქმაა საკმარისი, რომელიც შესაბამისი დანაშაულის შმეადგენლობის ფარგლებში ქმედების ობიექტის, ქმედების ჩადენის რეალური ვიტარებისა და დასახული ქმედების მიზნითაა ნიშანდებული, თუმცა ამავე დროს ერთ შეზღუდვასაც აწესებს: „დანაშაულის განხორციელების შმედგომ გაგრძლებაზე უარის თქმა“ სახეზე არ გვაქვს მაშინ, როდესაც ამსრულებელი რეზერვში ინახავს გამგრძლებელ აქტებს, რომლებიც მათი რეალიზების შეთხვევაში კანონით გათვალისწინებული ქმედების შმეადგენლობის შმედეგი განხორციელებისას აღნიშნულ მომენტამდე დაწყებული დანაშაულის შმეადგენელი მხოლოდ არადამოუკიდებელი სახის აქტები იქნებოდა, ანუ მასთან ერთასდ ერთიან ცხოვრებისეულ მოვლენას წარმოადგენენ.

პრობლემურია ასევე საკითხი, თუ რა მოიადრება სიტყვა „ქმედების“ ქვერშ. ფედერალური სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილების მიხედვით ქმედების ცნება განზრახ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებიუს ცნებას ემთხვევა, მატერიალურ-სამართლებრივი დანაშაულის შმეადგენლობის გაგებით. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ ადამიანს, რომელმაც ყაჩაროპბის მიზნით

⁴⁰ ვესელსი ი./ ბოილკე ჰ. სისხლის საართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაული და მისი აგებულება. 2010. გვ 377

მკვლელობა წამოიწყო, შეუძლია სასჯელისაგან გამათავისფულეწბელი ეფექტისთ ხელი აიღოს მკვლელობის მცდელობაზე, თუ იგი თავისუფალ ნებაზე დაყრდნობით უარს იტყვის თავისი მხხვერპოლის მოკვლაზე და მხოლოდ მუქარის ძალით მისთვის ძვირფასი ნოივთების წართმევით შემოიფარგლება. ზუსტად ასევე შეუძლია თავდაპირველად მკვლელობის განზრახვით მოქმედ პირს, მსხვეკლისათვის უკვე მიყენებული სხეულის მძიმე დაზიანების შედეგაც კი ხელი აიღოს მკვლელობის მცდელობაზე.⁴¹

3.3 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დამთავრებული მცდელობის ეტაპზე

დამთავრებული მცდელობა დაუსჯელი დარჩება, თუ ამსრულებელი ნებაყოფლობით შეუშლის ხელს დანაშაულის დამთავრებას ან ისეთ დროს, როდესაც დანაშაული მისი წვლილის გარეშე ვერ დამთავრდება. ნებაყოფლობით და სერიოზული განწყობით დამთავრებისათვის ხელის შეშლას შეეცდება. აღიარებული შეხედულების თანახმად, დამთავრებისათვის ხელის შესაშლელად საკმარისია, რომ ხელის აღების შესახებ გადაწყვეტილების მიმღებმა შეგნებულად და ნასურვებად ახალი კაუზალური მწკრივი ააგოროს, რომელიც დამთავრების არდადგომისათვის სულ ცოტა თანამიზეზობრივი დატვირთვის იქნება. ის გარემოება, რომ აღნიშნულის გვერდით სხვა ამსრულებლის ნებისგან დამოუკიდებელმა გარემოებებმა წვლილი შეიტანეს დანაშაულის დაუმთავრებლობაში, ისეთივე მცირე დაბრკოლებას უნდა წარმოადგენდეს სასჯელისაგან გამათავისფულეწბელი ეფექტის მქონე ხელის აღებისთვის, როგორც სხვა აქტის შესრულების, ან უფრო მეტის გაკეთების შესაძლებლობა იმისათვის, რათა უფრო დიდი გარანტიით შეეშალოს ხელი

⁴¹ ვესელსი ი./ ბოილკე ჰ. სისხლის საართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაული და მისი აგებულება. 2010. გვ 378

დამთავრებას. მაშასადამე ამ მოსაზრების თანახმად აუცილებელი არაა ამსრულებელმა შედეგის დამაბრკოლებელ ყველაზე ოპტიმალურ ან ყველაზე საიმედო შესაძლებლობას მიმართოს. აღიარებული შეხედულების თანახმად, გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ იმას აქვს, რომ ამსრულებელი თავისი ქმედების განზრახვაზე საბოლოოდ ამბობს უარს და იგი ისეთ სამაშველო ქმედებას ირჩევს, რომელსაც დანაშაულის დამთავრების დასაბრკოლებლად ვარგისად მიიჩნევს. ყოველ შემთხვევაში აღნიშნულს, მხოლოდ იმ დათქმით უნდა დავეთანხმეთ, რომ ამსრულებელი მხოლოდ მაშინ იმსახურებს სასჯელისაგან გათვისუფლებას, როდესაც იგი ნებაყოფლობით „საპირსიპირო ქმედების „ გზით კვლავ დაასტაბილურებს ნორმის საყოველთაო მოქმედების მიმართ მის მიერ შერყეულ ნდობას. საკუთარ, ამწუთიერ ქცევას შედეგის დადგომის, მომდგარი საფრთხის შესაკავებლად მიმართავს და იმგვარად ამოქმედდება, რომ მას სხვისი დახმარების გათვალისწინებით დანაშაულის დამთავრებისთვის ხელშეშლა შეიძლება შეერაცხოს.⁴²

თუ დამთავრებული მცდელობისას, ხელის აღებისათვის შესრულებული აქტები წარუმატებლად ჩაივლიან, მაშინ შედეგის დადგომისა და დასჯის რისკი იმ შემთხვევაშიც ამსრულებელს დააწვება ტვირთად, როდესაც ხელშემშლელი აქტების წარმატება მხოლოდ უბედურმა შემთხვევითობამ, მესამე პირთა ჩარევამ ან უფრო გავლენიანმა ძალამ ჩაშალა. მნიშვნელობა მხოლოდ იმ გარემოებას აქვს, რომ მცდელობის წარმომშობი მისი ქცევა კვლავაც განაგრძობს განვითარებას დამთავრებულ დანაშაულში და კონკრეტული შედეგის სახით სწორედ იმ საფრთხის რეალიზება წარმოებს, რომელიც ამსრულებლის წინამორბედი ქმედების გზით შეიქმნა ან გაიზარდა.

⁴² ვესელსი ი./ ბოილკე ჰ. სისხლის საართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაული და მისი აგებულება. 2010. გვ 379

3.4 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი უვარგისი მცდელობისა და ხელშეშლილი მცდელობის დროს

ქართული სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, დანაშაულზე ხელის აღება მხოლოდ მაშინ ატარებს ნებაყოფლობით ხასიათს, როდესაც დამნაშავეს დანაშაულის მომზადებისა ან მცდელობის სტადიაზე არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა აქვს. ერთი მხრივ, დამნაშავეს შეუძლია ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული დანაშაულებრივი საქმიანობა, ხოლო მეორე მხრივ, მას შესაძლებლობა აქვს, უარი თქვას დანაშაულის ჩადენაზე. მაშასადამე, როდესაც დამნაშავემ იცის, რომ მას შეუძლია ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული, მაგრამ მას ეს არ უნდა, ახორციელებს ნებაყოფლობით ხელის აღებას. მაგალითად, ა-მ მოკვლის განზრახვით უმიზნებს ბ-ს, მაგრამ დაზარალებული შეეცოდება და გადაიფიქრებს მის მოკვლას. დამნაშავეს დამიზნების მომენტში შეეძლო ჩახმახისთვის თითო გამოეკრა და განზრახვა სისრულეში მოეყვანა, რაშიც მას არავინ და არაფერი ხელს არ უშლიდა, მაგრამ ამის გაკეთება მას არ უნდოდა. იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავეს უნდა დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, მაგრამ ფიქრობს, რომ ობიექტური გარემოებების გამო ეს შეუძლებელია, მაშინ ნებაყოფლობით ხელის აღებას არ ექნება ადგილი.⁴³ მაგალითად, ა. ქურდობის მიზნით შევიდა საწყობში, მაგრამ ის ნივთები არ დახვდა რომლის მოპარვაც მას სურდა. ასეთ შემთხვევას, როგორც უკვე უვარგისი მცდელობისა და ნებაყოფლობით ხელის აღების ობიექტურ დახასიათებას აღნიშნავს, სისხლის სამართლის ლიტერატურაში “ხელშეშლილი მცდელობის” სახელწოდებით მოიხსენიებენ, სადაც მცდელობაზე ხელის აღება შეუძლებელია.⁴⁴

უვარგისი მცდელობაზე ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხი გერმანიაში ჯერ კიდევ ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდში დაისვა. მაშინდელი სისხლის სამართლის

⁴³ ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით“. თბილისი 2013. 358-360

კოდექსის პროექტით აღიარებულია ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა უვარგისი მცდელობის სტადიაზე. ეს საკითხი დასაბუთებული იყო “ობიექტური თეორიის” საფუძველზე, რადგან ცნობილია, რომ უვარგისი მცდელობა ამ თეორიის მიხედვით. დაუსჯელი რჩება, რადგან მას ობიექტურად შედეგის გამოწვევა არ შეუძლია და აქედან გამომდინარე, სამართლებრივ სიკეთესაც არავითარი საფრთხე არ ექმნება.

“ხელშეშლილი მცდელობის” დახასიათების დროს, აქცენტი უნდა გაკეთდეს დამნაშავეს წარმოდგენაზე, სუბიექტურად მის წარმოშობაზე და არა დანაშაულის დამთავრების ობიექტურ შეუძლებლობაზე. აქედან გამომდინარე, “ხელშეშლილი მცდელობაზე” ნებაყოფლობით ხელის აღების გამორიცხვის წინაპირობისათვის არსებითია ის, რომ დამნაშავეს სუბიექტური თვასაზრისით, მცდელობა წარუმატებელ ხასიათს ატარებს.⁴⁵

ზოგიერთი მეცნიერი “ხელშეშლილი მცდელობის” არსებობას საერთოდ უარყოფს და აღნიშნავს, რომ კანონმდებელი “ხელშეშლილი მცდელობის” დამოუკიდებელ ფიგურაზე საერთოდ არ მიუთითებს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით კი, კანონმდებელი ასეთ ფიგურას ნათლად არ არეგულირებს, ხოლო თავად სასამართლო პრაქტიკა უარყოფს “ხელშეშლილი მცდელობის” არსებობას იმ მოტივით, რომ დამნაშავეს თავიდანვე არ ეთქვას უარი ხელის აღების შესაძლებლობაზე.

3.5 წარუმატებელი ხელის აღება

დანაშაულზე ხელის აღების გზით სასჯელისაგან გათავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუ ქმედება დამთავრებული არაა ანუ თუ უმართლობის

⁴⁵ ხარნაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი „დამთავრებული დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით“. თბილისი 2013. 359

ობიექტური შემადგენლობა სრულად არ განხორციელდება. მაგალითისათვის ობიექტური შერაცხვა გამოირიცხება იქ, სადაც დაგეგმილი მკვლევლობისას მსხვერპლი თავიდან მხოლოდ დაშავდება, შემდგომ ამსრულებელი მის საავადმყოფოში გადაყვანას შეეცდება, მაგრამ მთვრალ სანიტრებს საკაცე ხელიდან გაუვარდებათ, რის შედეგადაც დაშავებული პირი კისერს მოიტეხს. ამ კაზუსში ამსრულებელს, მოგვიანებით დამდგარი შედეგის მიუხედავად, შეუძლია სასჯელისაგან გამათავისუფლებელი ეფექტის მქონე ხელის აღება განახორციელოს. აღნიშნულის საპირისპიროდ ობიექტური შერაცხვის უარყოფისათვის საკმარისი საფუძველი არაა მხოლოდ ის, რომ ამსრულებელს შემთხვევითობის ან მესამე პირთა ჩარევის გამო დაბრკოლება შეექმნა ხელის აღებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებაში.⁴⁶

დამდგარი შედეგის შერაცხვისათვის დაბრკოლებას, არც ამსრულებლის მხარეს არსებული მისი წინარე ქცევების ეფექტურობაში შეცდომა წარმოადგენს. მაგალითად, თუ საწამლავის შემზავებელ ქალბატონს, მისი მსხვერპლისათვის შეპარვით მიცემული საწამლავის დოზა საკმარისად არ მიაჩნია და იგი მკვლევლობის შესახებ მიღებულ საკუთარ გადაწყვეტილებაზე იმ მცდარი წარმოდგენით იტყვის უარს, რომ სასიკვდილო შედეგის თავიდან აცილებას უბრალო შემდეგი უმოქმედობითაც შეძლებს, მსხვერპლი კი გარდაიცვლება მაშინ ამსრულებელი დამთავრებული დანაშაულისათვის უნდა დაისაჯოს.⁴⁷

⁴⁶ ვესელსი ი./ ბოილკე ჰ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაული და მისი აგებულება. 2010. გვ 366

⁴⁷ ვესელსი ი./ ბოილკე ჰ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაული და მისი აგებულება. 2010. გვ 366-367

თავი IV

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას
თანამონაწილეობის და ამსრულებლობის დროს

4.1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება რამდენიმე
თანამონაწილის მიერ

24-ე მე-2 პარაგრაფის მიხედვით მცდელობის გამო არ დაისჯება ხელის ალების ნების მქონე მონაწილე ამსრულებელი ან თანამონაწილე

ა) თუ იგი ქმედებაში შეტანილი საკუთარი წვლილის გაუნვებელთყოფით ან სხვა გზით ნებაყოფლობით) დანაშაულის ფორმალურ დამთავრებას რომლის მცდელობაშიც მონაწილეობას ღებულობდა დაბრკოლებს ან

ბ) თუ იგი ნებაყოფლობით და სერიოზული განწყობით ძალისხმევას მიმართავს დანაშაულის დამთავრების ხელშესაშლელად იმ შემთხვევისთვის როდესაც დანაშაული (მაგალითად უვარგისი მცდელობისას) მისი მონაწილეობის გარეშე ვერ დამთავრდებოდა, ან მის მიერ უკვე განხორციელებული წინარე წვრილისგან დამოუკიდებლად განხორციელდება.⁴⁸

როგორც ვხედავთ 24-ე მე-2 პარაგრაფი ხელის ალების პრივილეგიის პირობებს ამკაცრებს იქ სადაც, დელიქტის მცდელობაში მონაწილეობას რამდენიმე პირი ღებულობდა, რადგან დაუმთავრებელი მცდელობის შემთხვევაშიც კი ხელის ალების მიზნებისთვის ქმედების მხოლოდ შემდეგის გაუგრძელებლობა საკმარისი აღარაა ხელის ამღებისათვის მცდელობასთან მიმართებით სასჯელისგან გათავისუფლება მხოლოდ იმ დამატებითი პირობის დაცვით დადგება რომ დანაშაულში შემდგომ მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმით, ან დანაშაულში აღნიშნულ მომენტამდე შეტანილი წვლილის უკან წაღებით, იმავდროულად დანაშაულის დამთავრებასაც შეეშლება ხელი. ხელის ალების პირობების ამგვარი გამკაცრების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ კანონმდებელი რამდენიმე მონაწილის მიერ განხორციელებულ მცდელობას უფრო საშიშად მიიჩნევს ვიდრე ერთპიროვნულად მოქმედი ადამიანის მცდელობას და მას ხელის ალების ისეთი წესის შემოღების სურვილი ჰქონდა, რომელიც დანაშაულის დამთავრებას მაქსიმალურად შეეწინააღმდეგება.

⁴⁸ ვესელსი ი./ ბოილკე ჰ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაული და მისი აგებულება. 2010. გვ 382-383

რამდენიმე პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის დაბრკოლება შეიძლება დანაშაულში იმ სხვა მონაწილის მიერაც განხორციელდეს, რომლის ქცევასაც ამსრულებელი, შესაბამისად თანამონაწილე ეთანხმება. აუცილებელი არაა რომ უკანდამხევის ქცევას შედეგის დადგომის სხვა პირის მიერ წართებული ხელშეშლით, ნამდვილად *condino sine qua non*-ის გაგებით მიზეზობრივი დატვირთვა ჰქონდეს. დანაშაულში მონაწილეობის მიმღები ყველა პირი, არა ვალდებული ქმედებას, მისთვის შესაძლებელი, მაქსიმალურად სასიკეთო კვალი დაეტყოს. დაბრკოლების განხორციელება შემდეგი თანაშემრომლობის შეწყვეტიტაც შესაძლებელია, თუკი მონაწილის წარმოდგენის მიხედვით მისი მონაწილეობის გარეშე დანაშაულის დამთავრება შეუძლებლად წარმოჩნდება. მაგალითად, თანმდომდვერულად განხორციელებული მოწამვლით მკვლელობის მცდელობისას, სადაც დამხმარე, რომელმაც მსხვერპლს საწამლავი ნაწილ-ნაწილ უნდა მიაწოდოს, შემდეგომ მიწოდებას შეაჩერებს ამ გზით ის ძირითადად ამსრულებლისთვის დანაშაულის დამთავრებას შეუძლებლად გადააქცევს. სწორედ ასევე შეუძლიათ თანამსრულებლებს, სიცოცხლისთვის არასაშიში გასროლის წარმოების შემდეგ, თავისუფალი ნებითა და ურთიერთთახმობის საფუძველზე, დანაშაულის დამამთავრებელი მათ განკარგულებაში არსებულ საშუალებას ამოქმედებაზე უარის თქმის გზით, ხელი აიღონ დაგეგმილი მკვლელობის მცდელობაზე.⁴⁹ მოსამზადებელ სტადიაზე განხორციელებული ხელის აღება შერაცხვისა და თანამონაწილეობის პრონციპების მიხედვით უნდა დავამუშაოთ. ადამიანი, რომელიც დანაშაულის დაგეგმვაში მონაწილეობდა და რომელმაც საკუთარი აქტებით უკვე შეუწყო ხელი მას, სასჯელისაგან გათავისუფლებას ვერ მიაღწევს მხოლოდ იმ საფუძველით, რომ მან ჯერ კიდევ მოსამზადებელ სტადიაზე თქვა უარი საერთო ჩანაფიქრზე ასევე თავისი თანამზრახველების გადაბირებასაც ცდილობს და დანარჩენი თანამონაწილეები დაგეგმილ ქმედებას მის გარეშე განახორციელებენ და ამ

⁴⁹ ვესელსი ი./ ბოილკე ჰ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. დანაშაული და მისი აგებულება. 2010. გვ 384

პიროვნების მიერ დანაშაულში შეტანილი, კვლავაც მოქმედი, წვლილითაც ისარგებლებენ. ამგვარად, ხელის აღების მსურველმა სრულად უნდა გამოასწოროს მის მიერ დანაშაულში შეტანილი წვლილი. მთავარი ქმედების დასრულებისათვის შესარაცხ მიზეზს წარმოადგენს, რის შედეგადაც მან, სულ მცირე დახმარების სტატუსით მაინც სხვებთან ერთად დამთავრებული დანაშაულისთვის უნდა აგოს პასუხი. იგივე პრინციპები მოქმედებს, როდესაც ძირითადი ქმედება მცდელობის სტადიაზე ჩერდება. თუ ხელის აღების მსურველი სრულად გაანეიტრალებს მის მიერ ქმედებაში შეტანილ წვლილს, მაშინ იგი საერთოდ აღარ აგებს პასუხს მცდელობისათვის, ხოლო თუკი დანაშაულში მის მიერ შეტანილი წვლილი კვლავაც განაგრძობს მოქმედებას, მაშინ ის შეიძლება მცდელობაში მონაწილეობის გამო დაისაჯოს.⁵⁰

4.2 ერთპიროვნული ასრულებლის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მომზადების სტადიაზე

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მომზადების სტადიაზე, შესაძლებელია, როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მომზადების სტადიაზე სახეზეა მაშინ, როდესაც დამნაშავე ჯერ კიდევ პირობების შექმნის პროცესში უარს ამბობს დანაშაულგებრივი საქმიანობის შემდგომში გაგრძელებაზე. ნებაყოფლობით ხელის აღება აქტიური ქმედებით შესაძლებელია მაშინ, როდესაც, დამნაშავემ დანაშაულის ჩასადენად შექმნა გარკვეული პირობები, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა დანაშაულის ჩადენა და ამ მიზნით განახორციელა მართლზომიერი მოქმედება.

⁵⁰ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. „დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები“ 2011. გვ 102

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მომზადების სტადიაზე მაშინ გვაქვს, როდესაც პირი დანაშაულის ჩასადენად მომზადებულ პირობებს ანეიტრალებს, თუმცა დარწმუნებულია დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობაში. ქართული სისხლის სამართალში სხვაგვარი მოსაზრებაც არსებობს. *თ. წერეთელი* მიუთითებს, რომ მომზადებისა და დაუმთავრებელი მცდელობის სტადიაზე დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება მხოლოდ პასიურიზით შეიძლება. გასაზიარებელია ი.დვალის მოსაზრება იმის შესახებ რომ ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის მომზადების სტადიაზე როგორც მოქმედებით ისე უმოქმედობით ხდება. ბინაში შეღწევით ქურდობისათვის, სახლზე მიდგმული კიბის უკან წაღება და მკვლელობის მიზნით გამზადებული შხამის გადაღვრა. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებაა მოქმედებით. მკველელობის მიზნით ცეცხლსასროლი იარაღის ყიდვა და მკველელობის განხორციელების გადაფიქრება, მკველელობის მიზნით სხვის ბინაში შესვლა და მკველელობის განუხორციელებლად უკან დაბრუნება კი დანაშაულის მომზადებაზე უმოქმედობით ნებაყოფლობით ხელის აღებას წარმოადგენს. მომზადების სტადიაზე ხელის აღებისას პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევისთვის დაეკისრება, როდესაც მისი ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს.⁵¹

4.3 ერთპიროვნული ამსრულებლის მიერ დანაშაულზე

ნებაყოფლობით ხელის აღება მცდელობის სტადიაზე

დაუმთავრებელი მცდელობის დროს ე.ი როდესაც პირს დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგის განხორციელებისათვის ჯერ ყველაფერი არ გაუკეთებია, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება როგორც წესი უმოქმედობაში გამოიხატება.

⁵¹ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. „დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები“ 2011. გვ 103-104

სსკ-ის 21-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, დამთავრებული მცდელობის დროს ე.ი მაშინ, როდესაც პირმა დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგის განხორციელებისათვის ყველაფერი გააკეთა, დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, როგორც წესი, ამ შედეგის აქტიურად თავიდან აცილებითაა შესაძლებელი. ე.ი დასახელებული მუხლის მიხედვით, დამთავრებულ მცდელობაზე ხელის აღებისთვის აუცილებელია: 1) დანაშაულის შედეგის თავიდან აცილებსაკენ მიმართული ქმედება, 2) შედეგის თავიდან აცილება.

დანაშაულის შედეგის თავიდან აცილებისაკენ მიმართული ქმედება მოიცავს: 1) აქტიურ მოქმედებას, 2) განხორციელებულს თავად ჩამდენი პირის მიერ.⁵²

გამონაკლის შემთხვევებში, დვალიძის აზრით, შესაძლოა პირმა დამთავრებული მცდელობისას დანაშაულზე ხელი ნებაყოფლობით უმოქმედობითაც აიღოს. მაგ: პირი ბავშვს წყალში ჩააგდებს. მისი ძალის ბავშვს ნაპირზე გამოიყვანს და პირი არ შეუშლის ხელს ძალს ბავშვის გადარჩენაში, რადგან მას ბავშვი შეეცოდება. პირის ამგვარი პასიურობა დვალიძის აზრით, მსხვერპლის ინტერესებიდან გამომდინარე, ქმედების დაუსჯელობით უნდა დასაჩუქრდეს, რადგან პირი დანაშაულებრივი შედეგის ასაცილებლად თავად არ აქტიურობს, იგი მხოლოდ ხელს არ უშლის სხვას სამართლებრივი სიკეთის გადარჩენაში, მის მიმართ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის გავრცელება საკამათოა.⁵³

საკითხავია დაკვალიფიცირდება თუ არა ქმედება დაუმთავრებელ მცდელობად და უმოქმედობა - დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად, თუ პირმა დანაშაულის განსახორციელებლად მიმართული პირველი ქმედების საშუალებით დასახულ მიზანს ვერ მიაღწია და მან სხვა საშუალება, რომლითაც მისი

⁵² მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. „დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები“ 2011. გვ 105

⁵³ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. „დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები“ 2011. გვ 105

დანაშაულებრივი ქმედების შესაბამისი შემადგენლობის შედეგის გამოწვევა ვერ შეძლო არ გამოიყენა?

ამგვარი ქმედების შეფასების ორი გზა არსებობს. ცალკეული აქტის თეორიის მიხედვით მცდელობა ხელმოცარულია, რადგან პირმა პირველივე მოქმედებითვე დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევისათვის ყველაფერი გააკეთა. უმოქმედობით დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღება ამგვარ შემთხვევაში შეუძლებელია, რადგან მსხვერპლი მხოლოდ შემთხვევითობამ გადაარჩინა. პირი დანაშაულის მცდელობისათვის უნდა დაისაჯოს.⁵⁴

ქმედებათა ერთობლიობაში შეფასების თეორიის მიხედვით კი ცალკეული აქტის თეორია არაა სწორი, რადგან პირს დანაშაულის შემადგენლობის განსახორციელებლად მის ხელთ არსებული ყველა საშუალება არ გამოუყენებია. ამ მოძღვრების თანახმად, როდესაც ფაქტობრივად განხორციელებული ქმედება დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად გამოსადეგ სხვა შესაძლო მოქმედებებთან მჭიდროდაა დაკავშირებული დროსა და სივრცეში, როდესაც პირის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი მცდელობა სხვა შესაძლო ქმედებებთან ერთად ერთიან დანაშაულებრივ ქმედებას წარმოადგენს, პირს დანაშაულებრივი შედეგის მიღწევა სხვა საშუალებით შეუძლია და იგი მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას აღარ გააგრელებს. მის მიმართ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების არსებული წესი უნდა გავრცელდეს. თუ ვერ დგინდება იცოდა თუ არა ამსრულებელმა რომ მას დანაშაულებრივი შედეგის გამოწვევა სხვაგვარადაც შეუძლია *in dubio pro reo* პრინციპის მიხედვით მცდელობა დაუმთავრებლად უნდა მივიჩნიოთ და პირის ქმედობა დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად. სხვაგვარად კვალიფიცირდება შემთხვევები, როდესაც პირმა დანაშაულის ჩადენა უშედეგოდ სცადა და მანვე მოგვიანებით დროის ხანგძლივი მონაკვეთის გასვლის შემდეგ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების სხვაგვარი საშუალებანი არ

გამოიყენა. ამგვარ შემთხვევებში გვაქვს ერთი მხრივ ხელმოცარული მცდელობა და მეორე მხრივ ახალი დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაზე უარის თქმა, რომლებიც ერთიან დანაშაულ⁵⁵ებრივ ქმედებას არ ქმნიან. ის ფაქტი, რომ პირმა დანაშაულის ჩასადენად არსებული შესაძლებლობა არ გამოიყენა, ხელმოცარული მცდელობის კვალიფიკაციაზე არ აისახება.

4.4 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

თანამსრულებლის მიერ

თანამონაწილეობის დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლება არა მარტო ამსრულებელს, არამედ აგრეთვე თანამონაწილესაც.

თანამონაწილეთა მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას გარკვეული სპეციფიკურობა ახასიათებს, რომელიც განპირობებულია თანამონაწილეთა ბუნებით. ამიტომ შედარებით განსხვავებულია მასთან დაკავშირებული იურიდიული შედეგებიც. თუ ამსრულებელი ხელს იღებს დანაშაულის ჩადენაზე, თანამონაწილეები ავტომატურად არ თავისუფლდებიან სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან. აქედან გამომდინარე, თანამონაწილეთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს.⁵⁶

ნებაყოფლობით ხელის აღება, როგორც წამახალისებელი ნორმა, “წარმოადგენს მხოლოდ პასუხისმგებლობისაგან პერსონალური გათავისუფლების საფუძველს”. დასახელებული შეესაბამება თანამონაწილეობის აქცესორულ ბუნებას. “სწორედ თანამონაწილეთა აქცესორული ბუნება და თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის

⁵⁵ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. „დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები“ 2011. გვ 106

⁵⁶ ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით“ 2014 გვ 342

ინდივიდუალიზაციის სპეციფიკა განაპირობებს თანამონაწილეთა მიერ დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების თავისებურებებს”

თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა თანამონაწილეთა მიერ ნებაყოფლობით ხელის აღების საკითხს საქართველოს სსკ-ის 21-ე მუხლის ფარგლებში არეგულირებს. ამ მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თანამონაწილეებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრებათ, თუ მათ შეასრულეს შემდეგი პირობებიდან ერთ-ერთი. 1) გადაარწმუნეს ამსრულებელი, 2) დროულად შეატყობინეს ხელისუფლების ორგანოს, 3) სხვაგვარად შეუშალეს ხელი ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მიცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა, 4) დამხმარემ დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვა შეპირებული ქმედების შესრულებაზე, 5) დამხმარემ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება.

დასახელებული პირობები ნებაყოფლობით ხელის აღების საფუძველს ქმნის მაშინ, თუკი მათი განხორციელების საფუძველზე დანაშაულებრივი შედეგი თავიდან იქნება აცილებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი მოქმედება, სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, სასამართლომ შეიძლება გაითვალისწინოს სასჯელის დანიშვნის დროს, როგორც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება. თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბოლო წინადადება აკეთებს გამონაკლისს ფიზიკური დამხმარისთვის. სისხლის სამართლის ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომელიც შემდგომში იქნება განხილული, რომ ეს გამონაკლისი, შესაძლებელია, თანაამსრულებელზეც გავრცელდეს.

თანაამსრულებლობის დროს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება ხშირ შემთხვევაში უმოქმედობითაა შესაძლებელი. თუ თანაამსრულებლები დანაშაულის ჩადენაზე ხელს ერთად აიღებენ ისინი სსკ 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლდებიან.

პრობლემატურია ცალკეული თანამსრულებელის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა თანამსრულებლები დანაშაულის განხორციელებაზე ხელს არ აიღებენ და დანაშაულის ჩადენაში შეტანილ მის წვლილს გამოიყენებენ ამ საკითხს სსკ 21-ე მუხლი არ არეგულირებს

სსკ 21-ე უხლის თეოლოგიური განმარტებიდან გამომდინარე თანამსრულებელმა უნდა გაწყვიტოს მიზეზობრიობის ის ჯაჭვი, რომელსაც მან სხვებთან ერთად დაუდო სათავე და დანაშაულებრივი ქმედების აღსრულებას აქტიურად უნდა შეუშალოს ხელი. ამ შემთხვევის გადაწყვეტისას უნდა გამოვიყენოთ არგუმენტაციის წესი *argumentum a minore ad maius* - დასკვნა „მცირედან“ „მეტისაკენ“ (ანუ თუ აკრძალულია მცირე მით უფრო აკრძალული უნდა იყოს მეტი), ე.ი თუ წამქეზებელი და დამხმარე ვალდებული არიან აქტიურად შეუშალონ ხელი დანაშაულის დასრულებას. თანამსრულებელი მით უფრო უნდა იყოს ვალდებული თავიდან აიცილიოს დანაშაულებრივი შედეგი. პირი დანაშაულის განხორციელებას არავითარ ქმედებას არ ასრულებდა, იგი ქმედებაზე არ ბატონობდა, ქმედებაზე ბატონობა კი ასრულებლობის და თანამსრულებლობის დამფუძნებელი ნიშანია.⁵⁷

4.5 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება შუალობითი ამსრულებლის მიერ

შუალობით ამსრულებლობისას დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის ასაღებად შუალობითი ამსრულებლობის აქტიური მოქმედებაა საჭირო.

1. შუალობით ამსრულებლობა გამოირიცხება

საქმის გარემოებაში გარკვეულმა შერაცხადმა პირმა რომელიც აღარაა მოტყუებული ცოცხალი იარაღი გადამჩენი მიზეზობრიობა გაწყვიტა და საკუთარი მიზეზობრიობა დააფუძნა დაისჯება მხოლოდ ის განზრახ მოქმედი შერაცხადი

⁵⁷ ხარნაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით“ 2014 გვ 343

პირი რომელმაც მართლსაწინააღმდეგო შედეგი განზრახ გამოიწვია (ამ შემთხვევაში - პეტრე)⁵⁸

2. სწორი შეხედულების თანახმად, შუალობითი ამსრულებელი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებისათვის ვალდებულია წაქეზების მსგავსად დანაშაულის განხორციელებას აქტიურად შეუშალოს ხელი თუ საქმის გარემოებაში გაკრვეული შერაცხადი პირი რომელიც უკვე აღარაა მოტყუებული “ცოცხალი იარაღი“, საკუთარ მიზეზობრიობას დააფუძნეს შუალობით ამსრულებელს შედეგი შეერაცხება როგორც წამქეზებელი (სსკ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 108-ე მუხლები). ამ შეხედულებას უმუქმოდობით წაქეზების აღიარებამდე არ მივყავართ რადგან გამომდინარე არგუმენტაციის წესიდან *argumentum a minore ad maius* - დასკვნა „მცირედანა“ „მეტისაკენ“ (ანუ თუ აკრძალულია მცირე, მით უფრო აკრძალული უნდა იყოს მეტი) შუალობითი ამსრულებელი ვალდებულია ისევე როგორც წამქეზებელი (სსკ 21-ე მუხლის მე-3 ნაწილი) ხელი შეუშალოს დანაშაულის განხორციელებას თუ მან ეს ვერ შეძლო , იგი შედეგისთვის აგებს პასუხს. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ცდა სასჯელის შემამსუბუქებელი გარემოებად ჩაითვლება.⁵⁹

⁵⁸ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. „დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები,“ 2011 გვ 111

⁵⁹ მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. „დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები,“ 2011 გვ 111-112

თავი V

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ცალკეული საკითხები

5.1 დანაშაულზე ნებაყოფლობით ცელის აღება კვალიფიციურ შემადგენლობაზე

ნებაყოფლობით ხელის აღებას კვალიფიკაციაზე ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დამნაშავე კვალიფიკაციაზე ხელს იღებს და მხოლოდ ძირითად შემადგენლობას ასრულებს. ამგვარ შემთხვევაში სსკ 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირი

პასუხს მხოლოდ დანაშაულის ძირითად შემადგენლობისა და მის მიერ ფაქრობრივად ჩადენილი სხვა ქმედებისთვის აგებს.⁶⁰

გერმანულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში ოთხ სხვადასხვა სახეს გამოყოფენ: 1.როდესაც ადგილი აქვს ძირითადი ქმედების მცდელობას, ხოლო თანამდევი შედეგი გაუფრთხილებლობით ხორციელდება. 2.როდესაც ძირითადი ქმედების მცდელობისას შედეგი განზრახ დგება. 3.როდესაც ადგილი აქვს ძირითადი ქმედების მცდელობას და თანამდევი შედეგი არ ხორციელდება. 4.როდესაც ძირითადი დელიქტი დამთავრებულია და თანამდევი შედეგი არ არის სახეზე. ამასთან, პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია იმის განსხვავებას, ძირითადი დელიქტი დამთავრდა, თუ მცდელობის სტადიაზე შეწყდა.

თანამდევი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტებში მცდელობა მაშინ არის სახეზე, როდესაც ძირითადი დელიქტის მცდელობის დროს თანამდევი შედეგი ხორციელდება. მცდელობა გამოირიცხება მაშინ, როდესაც მაკვალიფიცირებელი შედეგი ძირითადი დელიქტის შემადგენელ შედეგად არის გათვალისწინებული.

განზრახვით მოცული თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული მცდელობა სახეზეა, როდესაც ძირითადი ქმედების მცდელობისას მძიმე შედეგი ჯერ არ დამდგარა, თუმცა დამნაშავეს ამ შედეგის მიმართ გააჩნია განზრახვი დამოკიდებულება. ამასთანავე, სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღიარებულია, რომ განზრახვით მოცულ თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული მცდელობის დროს ნებაყოფლობით ხელის აღება სავსებით შესაძლებელია. მაგალითად, დამნაშავეს, რომელსაც მძიმე შედეგის გამოწვევა სურს, ძირითადი ქმედების დამთავრებამდე შეუძლია დანაშაულზე აიღოს ხელი.⁶¹

⁶⁰ იხ. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, გვ. 109-110.

⁶¹ ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი „დამთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით“ 2014 გვ 368

5.2 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების

შესაძლებლობის საკითხი ერთიან დანაშაულებში

ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობის საკითხის განხილვა ასევე საინტერესოა განგრძობად და დენად დანაშაულებში. სისხლის სამართლის მეცნიერებაში გაბატონებულია შეხედულება, რომლის თანახმად, განგრძობად დანაშაულებში ნებაყოფლობით ხელის აღების დასაბუთება შეუძლებელია. განგრძობადი დანაშაულისათვის დამახასიათებელია ის, რომ პირველივე აქტის განხორციელებისთანავე იურიდიულად დამთავრებულ დანაშაულად ითვლება, ამიტომ სისხლის სამართალში აღიარებული შეხედულების თანახმად, ნებაყოფლობით ხელის აღებისთვის, იქ ადგილი აღარ რჩება. ამისაგან განსხვავდება ისეთი შემთხვევები, როდესაც დამნაშავე მოქმედებს კონკრეტიზებულში განზრახვის საფუძველზე და სპეციალური მიზნის მისაღწევად ახორციელებს რამდენიმე დანაშაულს ერთი ქმედებას, რომელთაგან თითოეული მათგანი დამთავრებულ დანაშაულს არ წარმოადგენს. ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს დასკვნა იმის შესახებ, რომ განგრძობადი დანაშაულები კანონმდებლობაში თავისთავად დამოუკიდებლად არ არსებობს, არამედ ისინი სახეზეა მხოლოდ მაშინ, როდესაც დამნაშავე დაიწყებს დანაშაულის ჩადენას. მაშასადამე, ვიდრე განხორციელებული დანაშაულის ხასიათი არ გამოვლინდება. ამიტომ, შეუძლებელია წინასწარ იმის მტკიცება, რომ სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული რომელიმე დელიქტი განგრძობად დანაშაულს წარმოადგენს, არამედ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი დანაშაულის ბუნება მიუთითებს იმაზე, რომ იგი, შესაძლებელია, განხორციელების პროცესში იქცეს განგრძობად დანაშაულად. მაგრამ ამ საკითხის განხილვა მხოლოდ ამ მიმართულებით არ უნდა ამოიწუროს. განგრძობადი დანაშაული ჩადენილად ითვლება უკანასკნელი აქტის განხორციელების მომენტიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ განგრძობადი დანაშაულების განხორციელების დროს იკვეთება იურიდიული დამთავრებისა და ფაქტობრივი

დასრულების ეტაპები. ამიტომ, მიზანშეწონილია, იურიდიულად დამთავრების მიუხედავად, ფაქტობრივად დასრულებამდე დამნაშავეს მიეცეს ნებაყოფლობით ხელის აღების უფლება, რაც სრულად პასუხობს ჰუმანურობისა და სამართლიანობის პრინციპებს და სისხლის სამართლის პოლიტიკის ამოცანებს.⁶²

რაც შეეხება დენად დანაშაულებს, სისხლის სამართლის ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება ისეთ დანაშაულებში, შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ მოსამზადებელ სტადიაზე. ამის მიუხედავად შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, დენად დანაშაულებში ნებაყოფლობით ხელის აღებაზე საუბარი მოსამზადებელი სტადიის შემდეგაც.

5.3 დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის პროვოკაციის დროს

ამ პარაგრაფში საუბარია ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობაზე დანაშაულის პროვოკაციის დროს. რას ნიშნავს დანაშაულის პროვოკაცია? ეს ის მშემტხვევაა, როდესაც ერთი პირი აქეზებს სხვას დანაშაულის ცასადენასდ, რათა შემდგომ ამხილოს იგი დანაშაულის ჩადენაში. სისხლის სამართლის ლიტერატურაში ასეთი პირი აგენტ-პროვოკატორის სახელით არის ცნობილი. ადრე მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობისგან განსხვავებით, დღეს მოქმედმა სისხლის სამართლის კოდექსმა დანაშაულის პროვოკაცია სისხლის სამართლის კოდექსში გამოაცხადა, როგორც *delictum sui generis* და მისთვის შესაბამისი სასჯელი დააწესა. სსკ-ის 145-ე მუხლში ეს დანაშაული ასეა ჩამოყალიბებული “დანაშაულის პროვოკაცია, ესე იგი სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებებაში მიცემის მიზნით”. სისხლის სამართალში პრობლემური იყო და არის წამქეზებლისა და აგენტ-პროვოკატორის ფიგურის

⁶² ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი „დამთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით“ 2014 გვ 369

ურთიერთგამიჯვნის საკითხი. ადრეულ ქართულ სისხლის სამართლის ლიტერატურაში დანაშაულის პროვოკაციას დანაშაულში წამქეზებლობად აკვალიფიცირებენ და ამდენად, პროვოკაციის საკითხი თანამონაწილეობის წესების მიხედვით წყდებოდა. თანამედროვე ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკა ამ საკითხს განსხვავებულად აფასებს. დანაშაულის პროვოკაციის დროს გამოიყენება ე.წ ფიქციის მეთოდი, რომლის თანახმად, პროვოკატორი მართალია ფაქტობრივად წამქეზებელია, მაგრამ იურიდიულად იგი პროვოკაციის ამსრულებელია. სისხლის სამართლის დოგმატიკა წამქეზებლისგან პროვოკატორის გამიჯვნის დროს ამოდის ტანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან და ამბობს, რომ არ შეიძლება აგენტ-პროვოკატორი თანამონაწილედ ჩაითვალოს, ვინაიდან მათ განსხვავებული მიზნები ამოძრავებთ და შესაბამისად ისინი სხვადასხვა უმართლობას ახორციელებენ. აგენტ-პროვოკატორს, განსხვავებით წამქეზებლისაგან არ სურს დანაშაულის ბოლომდე მიყვანა. ამასთან თუ პროვოკატორი ეგუება შედეგის დადგომას მაშინ ადგილი აქვს არა დანაშაულის პროვოკაციას, არამედ წამქეზებლობას. მაშასადამე პროვოკატორის წარმოდგენით სამართლებრივი სიკეთის გამოუსწორებელი დაზიანება არ უნდა მოხდეს, არამედ პროვოკატორის მიზანი დაყოლიებულის სულიერი გახრწნა.⁶³

სასამართლო პრაქტიკა

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 თებერვლის განაჩენით

მ.პ ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 19,137-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით.

⁶³ ხარანაული ლ. სადისერტაციო ნაშრომი „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით“ 2014 გვ 365-366

მ.მ ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 19,137-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

რ.ო და რ.ხ ცნობილ იქნენ დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით.

საგმის გარემოება მდგომარეობს შემდეგში:

2007 წლის 6 სექტემბერს მ. პ. მ. მ. რ. ო. და რ. ხ. წინასწარი შეთანხმებით, შეიარაღდნენ მ.პ-ს მიერ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეძენილი თვითნაკეთი ცეცხლსასროლი იარაღით, რომელსაც იგი ასევე უკანონოდ ინახავდა და ატარებდა. ღამის 22 საათზე ისინი მივიდნენ ბორჯომის რაიონის სოფელში მდებარე ტყის პირას, სადაც იმყოფებოდნენ ისრაელის სახელმწიფოდან ჩამოსული ტურისტები: ნ.პ., ნ.ო, ზ.შ და ი.კ, რომლებსაც გაშლილი 9 ჰქონდათ კარავი და ენთოთ ცეცხლი. მ.პ-მ ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით თანამზრახველებთან ერთად თავიანთი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით მიწაზე დააწვინეს დაზარალებულები და უბრძანეს მიეცათ ფული. შემდეგ კი ცალ-ცალკე შეიყვანეს კარავში, სადაც ი.კ-ს წაართვეს 200 ლარი და ფანარი, ღირებული 20 აშშ დოლარად, ნ.ო-ს წაართვეს 100 ლარი, ნ.პ-ს წაართვეს 40 ლარი. რის შემდეგაც იქაურობას გაეცალნენ. აღნიშნულის შემდეგ მ.პ-მ, მ.მ-სთან ერთად გადაწყვიტა ნ-პ-ს გაუპატიურება და ტავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, დაახლოებით 5 წუთის შემდეგ დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე, იარაღი მიაბჯინა ზ.შ-ს ნ.პ-კი მ.მ-ს დახმარებით იძულებით გამოიყვანა 4-5 მეტრის დაშორებით ტყის მასივისკენ, წააქცია მიწაზე და დაუწყო შარვლის გახდა და შეეცადა გაუპატიურებას. ნ.პ-მ გაუწია წინააღმდეგობა , ატეხა ყვირილი, რის შემდეგაც მ.პ-მ და მ.მ-მ მიატოვეს შემთხვევის ადგილი და რ.ო-სთან და რ.ხ-სთან ერთად მიიმაღლნენ.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა ბორჯომის რაიონული სასამართლოს განაჩენში მოყვანილი მსჯელობა, იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში, გაუპატიურების მცდელობის სტადიაზე, მსჯავრდებულებს დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით

ხელი არ აუღიათ, რადგან მსჯავრდებულთა მხრიდან დანაშაულის შეწყვეტა გამოწვეულია არა ნებაყოფლობით, არამედ- დაზარალებულის აქტიური წინააღმდეგობით, რაც ასევე გაიზიარა სააპელაციო სასამართლომ.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სსკ-ის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი. საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დაზარალებულ ნ.ჰ-ს მხრიდან გაწეული ფიზიკური წინააღმდეგობა და ყვირილი არ შეიძლება ჩაითავლოს იმ ობიექტური ხელის შემშლელ გარემოებად, რომელთა არსებობის შემთხვევაში მსჯავრდებულები თავიანთ განზრახვას სისრულეში ვერ მოიყვანდნენ.

შესაბამისად საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ ადგილი ჰქონდა დამთავრებული მცდელობის სტადიაზე დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღებას, რაც სსკ-ის 28-ე მუხლის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველს.

დასკვნა

დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტზე მსჯელობა მრავალხმრივ საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. მისი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტის განვითარებას მყარი დოგმატურ-სამართლებრივი საფუძველი გააჩნია, რაც კარგად გამოიკვეთა ნაშრომში სხვადასხვა თეორიების მიმოხილვიოდს დროს ამ თეორიებზე დაყრდნობით სისხლის სამართლის მეწცნიერები ახდენდნენ აღნიშნული ინსტიტუტის დასაბუთებას და დანაშაულის სისტემაში მისი ადგილის განსაზღვრას. ნებაყოფლობით ხელის აღებაზე მსჯელობისას აღინიშნა, რომ დასახელებული ინსტიტუტი წარმოადგენს სახელწიფოს ხელში არსებულ

საშუალებას, რითაც სახელმწიფო ცდილობს დამნაშავეს აუგოს ე.წ ოქროს ხიდი და თავიდან აიცილოს სამართლებრივი სიკეთის დაზიანება. ნებაყოფლობით ხელის ალებით ქრეწვა მცდელობისას წარმოშობილი საფრთხე და საზოგადოებაში წესრიგის დარღვევით გამოწვეული სოციალურ-ფსიქოლოგიური განცა, რომელიც შეიძლება არასაშიშ მცდელობასაც ახასიათებდეს. დოგმატური თვალსაზრისით თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებაში ნებაყოფლობით ხელის ალების ყველაზე უფრო რელევანტურ საფუძვლეს „კრიმინალ-პოლიტიკური“ იგივე „ოქროს ხიდის“ და „სასელის მიზნის მოდიფიცირებული თეორიები“ ქმნიან. რაც შეეხება აღნიშნული ინსტიტუტის ადგილს დანაშაულის სისტემაში სხვადასხვა აზრის მიუხედავად საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ნებაყოფლობით ხელის ალების ინსტიტუტი არ წარმოადგენს უმართლობის ან ბრალის გამომრიცხველ გარემოებას, არამედ იგი არის სასჯელისაგან გათავისუფლების პერსონალური საფუძველი.

ნებაყოფლობით ხელის ალების სუბიექტური პირობების დახასიათება აშკარად ცხადყოფს, რო ნებაყოფლობითობას როგორც ერთ-ერთ სუბიექტურ პირობას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის. მთავარია, რომ ხელის ამღები ნებაყოფლობით მოქმედებდეს და ამის საფუძველზე ხელს იღებდეს დანაშაულებრივ საქმიანობაზე.

ნორმატიული მასალა

1) სისხლის სამართლის კოდექსი

გამოყენებული ლიტერატურა:

ქართულენოვანი ლიტერატურა

- 1) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები. რედ. თ.წერეთელი. თ. ტყეშელიაძე. თბილისი 1976
- 2) წერეთელი თინათინ, „დანაშაულის მომზადება და მცდელობა“ თბილისი 1961
- 3) ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, „დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები“ თბილისი 2011.
- 4) იოჰანეს ვესელსი, ვერნერ ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, „დანაშაული და მისი აგებულება“ თბილისი 2010

- 5) ტურავა მ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, მე-9 გამოცემა. თბილისი 2013
- 6) ნაჭყებია გ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი თბილისი 2011
- 7) ხარანაული ლ. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების ინსტიტუტი სისხლის სამართლის სამეცნიერო სიმპოზიუმის კრებულში. პირველი გამოცემა, რედ: ტურავა მერაბ. თბილისი 2013
- 8) გამყრელიძე ო. სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბილისი 2008

ქართულენოვანი ჟურნალ-კრებულები

- 1) დ.სულაქველიძე „დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ფსიქოლოგიური ბუნებისთვის, " ჟურნალი „საბჭოთა სამართალი", N 4, თბილისი 1980წ.
- 2) სულაქველიძე დ. „დამხმარის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება“ ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ N1 თბილისი 1985
- 3) „მცდელობისა და დანაშაულზე ნებაყოფლობითი ხელის აღების საკითხები ახალ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში". იხ.სტატიების კრებული - „სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის საკითხები" . გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1989
- 4) სულაქველიძე დ. „დანაშაულის მცდელობა და დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება „ ჟურნალი „სამართალი“ N3-4 თბილისი 1991
- 5) ლევან ხარანაული, დისერტაცია „დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით“ თბილისი 2013
- 6) დ.სულაქველიძე „ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე“ დისერტაცია. თბილისი 1992
- 7) დამხმარის მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება, " ჟურნალი „საბჭოთა სამართალი", N1, 1985წ.
- 8) ჟურნალი „ალმანახი“ საქართველის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამომცემლობა. სისხლის სამართლის სერია #19, 2004 წლის თებერვლის გამოცემა

რუსულენოვანი ლიტერატურა

- 1) Дурманов Н. Ф., Стадии совершения преступления по советскому уголовному праву, Москва, 1955
- 2) Лясс Н. В., Стадии преступной деятельности по советскому уголовному праву, Автореферат диссертации, Ленинград, 1952.
- 3) Кузнецова Н.Ф., Ответственность за приготовление к преступлению и покушение на преступление по советскому уголовному праву, Москва, 1958.